ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

1-2

იანვარ-თებერვალი

F-3103.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ცენტრალური
ბიბლიოთეკა

თბილისი 1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების“ შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 დეკემბრის დადგენილება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1962 წლის 9 იანვარს მიღებული გრძანება ამ დადგენილების გამო

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 დეკემბრის დადგენილებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 757

1961 წელი, 13 დეკემბერი.
ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება წარმოადგენს სახალხო განათლების წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების შემოღებასთან, სკოლა-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოწყობასთან, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება მასწავლებელთა და აღმზრდელთა კადრებზე.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სკოლების დაკომპლექტებას

მაღალკვალიფიციური კადრებით, მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდასა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას, არ იბრძვიან მასწავლებელთა კადრების დენადობის თავიდან აცილებისათვის, არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას მასწავლებლებისათვის, არ უქმნიან მათ, განსაკუთრებით სოფლად, საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს. არ იღებენ ქმედითს ზომებს იმისათვის, რომ შესრულდეს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი სოფლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ. მასწავლებელთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი 300 ათასი მანეთიდან მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში ათვისებულია მხოლოდ 174.100 მანეთი. ამ საქმეში საგრძნობლად ჩამორჩებიან ახალქალაქის, მარნეულისა და ცაგერის რაიონები, ხოლო კასპის, ლაგოდეხისა და ლენტეხის რაიონებში მშენებლობას არც კი შედგომიან.

პედაგოგიური სასწავლებლების ზოგიერთი კურსდამთავრებული არ ცხადდება დანიშნულების ადგილზე. არ არის მიღებული საჭირო ზომები იმისათვის, რომ გადიდდეს სოფლის ახალგაზრდობის მიღება პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში. სუსტია აღნიშნული ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებათა სასწავლო-მატერიალური ბაზა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით დროულად უზრუნველყოფისა და მასწავლებელთა შრომის და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 აგვისტოს № 817 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ", საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) აღმოფხვრან პედაგოგიური კადრების დაგეგმვისა და მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, გაითვალისწინონ წლიური და პერსპექტიული გეგმებით სტუდენტთა მიღება პედაგოგიური ინსტიტუტების დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე იმის შესაბამისად, თუ რამდენი მასწავლებელი და

ალმზრდელი სჭირდებათ სკოლებს 1966—1970 წლებისათვის, უზრუნველყონ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზის განმტკიცება, ამ ინსტიტუტების სტუდენტთა კონტინგენტის გადიდების გათვალისწინებით;

ბ) პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით, ორი თვის ვადაში გადასინჯონ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების პროფილები და სასწავლო გეგმები; ამასთან გაითვალისწინონ მომავალი მასწავლებლების კვირეული დატვირთვის ნორმალიზაცია.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) გააუმჯობესოს პედაგოგიური ინსტიტუტების ხელმძღვანელობა, სრულყოს მომავალი მასწავლებლებისა და მასწავლებელ-ალმზრდელთა პედაგოგიური ოსტატობა, მათი მომზადება მოსწავლეებთან ალმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად, გააძლიეროს ალმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ გამოიმუშაოს მათში მოვალეობის გრძნობა, სახელმწიფო დისციპლინა და მზადყოფნა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის;

ბ) მასწავლებელთა ადგილობრივი კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის ახალგაზრდობის მოზიდვას პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში;

გ) უზრუნველყოს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი და საღამოს განყოფილებები მაღალკვალიფიციური კადრებით, შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზით, სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურით, შეუქმნას სტუდენტებს მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები;

დ) უფრო ფართოდ ჩაებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პედაგოგიური ინსტიტუტები მუშაობაში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათთვის მეთოდური დახმარების გაწევის საქმეში;

პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებული პირები მიღებულ იქნან სახალხო განათლების ორგანოების მიმართვით პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებათა პირველ კურსებზე კონკურსგარეშე.

4. მასწავლებლები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სკოლაში და არა აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება, მიღებულ იქნან პედაგოგიური ინსტიტუტების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებათა შესაბამის ფაკულტეტებზე 1962—1965 წლებში კონკურსგარეშე.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლების დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური კადრებით; არ დაუშვას მასწავლებლების დანიშვნა მცირე რაოდენობის საათებზე. მასწავლებლების დანიშვნა სამუშაოზე არასრული სასწავლო დატვირთვით ყოველ ცალკე შემთხვევაში მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის განათლების განყოფილების თანხმობით;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობისადმი, შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაუმჯობესებისათვის (სასწავლო გეგმების სრულყოფა, სწავლების ვადის გაგრძელება კურსებზე ზოგიერთი სპეციალობის მიხედვით, მასწავლებელთა უზრუნველყოფა პედაგოგიური ლიტერატურით და ა. შ.).

6. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

გააძლიერონ ყურადღება მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ზრდისა და მათი კულტურის და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისადმი.

მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები, რათა უცილობლივ შესრულდეს მთავრობის დადგენილებანი მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ყველა ახლად შენებად სასოფლო სკოლასთან როგორც საჩელმწიფო ასიგნობათა და სხვა წყაროების, ისე ამ საქმეში კოლმეურნეობათა მონაწილეობის ხარჯზედაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და იმას, რომ უზრუნ-

ველყოფილ იქნას მათთვის მთავრობის მიერ მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის	მინისტრთა საბჭოს
მდივანი **პ. კოვანოვი**	თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებას და სკოლების დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, არ დაუშვან მასწავლებელთა დანიშვნა მცირე რაოდენობის საათებზე; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სკოლებში მომუშავე მასწავლებლების სწორად გამოყენებისა და მცირე საათების მქონეთა სასწავლო დატვირთვის გადიდებისათვის;

ბ) აღკვეთონ პედაგოგიური კადრების ცვალებადობის ხშირი შემთხვევები სასწავლო წლის მანძილზე და პედაგოგიური კადრების შემადგენლობაში საჭირო ცვლილებები, როგორც წესი, მოახდინონ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ;

გ) ზუსტად დაიცვან ნომენკლატურულ თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნისა და სამუშაოდან განთავისუფლების წესი. არ დაუშვან სამუშაოზე დანიშვნა ან განთავისუფლება სათანადო ბრძანების გარეშე. ვაკანტურ ადგილზე კანდიდატის წარდგენისას, სხვა მონაცემებთან ერთად, ნაჩვენები იქნეს კვირეული დატვირთვა საათების რაოდენობის აღნიშვნით;

დ) საჭირო ზომები მიიღონ პედაგოგიური კადრების ადგილზე დასამაგრებლად; ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით განახორციელონ ღონისძიებანი მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რათა აუცილებლად უზრუნველყოფილ იქნას მასწავლებელთათვის მთავრობის მიერ მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი; მიიღონ ზომები, რათა ყველა ახლად ასაშენებელ სოფლის სკოლასთან აიგოს მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლები, როგორც სახელმწი-

ფო ასიგნობათა და სხვა წყაროების, ისე კოლმეურნეობათა ხარჯზე;

ე) შეუქმნან მასწავლებლებს ყველა პირობა იდეოლოგიური-კული ზრდისა, მათი კულტურის ამაღლებისა და პროფესიული დახელოვნებისათვის;

ვ) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სკოლებში მომუშავე იმ მასწავლებლების ჩასარიცხავად პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებათა შესაბამის ფაკულტეტებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი სპეციალური განათლება და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მათ წარმატებით სწავლისათვის.

განუმარტონ მასწავლებლებს იმ უპირატესობების შესახებ, რომლებიც მათთვის არის დაწესებული უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს;

ზ) მასწავლებელთა ადგილობრივი კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის მიზნით შეარჩიონ სათანადო მონაცემების მქონე ახალგაზრდები ახლომდებარე პედაგოგიურ ინსტიტუტებში გასაგზავნად და აღმოუჩინონ მათ შესაძლო დახმარება (მოსამზადებელი კურსები, კონსულტაციები და სხვა) მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად.

2. კადრების (ი. კვაჭაძე), მეთოდიკის (ვ. კვიმსაძე) განყოფილებებმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაუმჯობესებისათვის, გამომდინარე სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანებიდან.

3. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) საჭირო კონტროლი განახორციელოს პედაგოგიური კადრების სამუშაოზე დანიშვნის, განთავისუფლების, ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანისა და მათი სწორად გამოყენების საქმეზე; მიიღოს ზომები რესპუბლიკის სკოლების მაღალკვალიფიციური კადრებით დასაკომპლექტებლად.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ღადუა) სისტემატური კონტროლი დააწესოს მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მომახსენოს.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) მიმდინარე წლის 15 იანვრამდე წარმოადგინოს სკოლების, სკოლა-ინტერნა-

ტებისა და საბავშვო დაწესებულებების განვითარების პერსპექტი-
ული გეგმა 1962—1970 წლებში და ამის საფუძველზე პედაგო-
გიურ კადრებზე მოთხოვნილება ახალი პროფილების შესაბამისად.

6. მინისტრის მოადგილემ ი. ბეროზაშვილმა კონტროლი
დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1962 წ. 12/I.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტის ამოცანები და შინაარსი

პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს. იგი პრაქტიკულ-მეთოდურ დახმარებას უწევს რვაწლიან, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საწარმოოსწავლებიან სკოლებს შრომითი, პოლიტექნიკური ციკლის, ბუნებათმეცნიერული დისციპლინებისა და სპეციალური საგნების სწავლების საქმეში, სკოლის მთავარი ამოცანის—ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდისა და ცხოვრებისათვის მოსწავლეთა წარმატებით მომზადების საქმეში.

პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტი ამ მიზნით:

1. ადგილებზე სწავლობს რესპუბლიკის რვაწლიან, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საწარმოოსწავლებიანი სკოლების საქმიანობას და ეხმარება ამ სკოლების მუშაკებს პოლიტექნიკური სწავლების ძირითადი პრინციპების გატარებაში და საწარმოო სწავლების საქმის სწორად ორგანიზებაში;

2. პრაქტიკულ დახმარებას უწევს განათლების სამინისტროს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სკოლის შესახებ კანონის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების საწარმოო სწავლების პროფილების განსაზღვრის საქმეში;

3. მონაწილეობს ბუნებათმეცნიერული ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) და საწარმოო-

სწავლებიან სკოლებში სპეციალური საგნების პროგრამებისა და ხელმძღვანელობების, საორგანიზაციო და მეთოდური დოკუმენტების შედგენა-დამუშავებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ეხმარება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ცალკეული საწარმოო სპეციალობის მასწავლებლებს თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებაში და საგნის სწავლების მეთოდიკის ღრმად დაუფლებაში;

5. სწავლობს რვაწლიან, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საწარმოოსწავლებიან სკოლებში თეორიული მეცადინეობის, პრაქტიკული საწარმოო სწავლების და მწარმოებლური შრომის მდგომარეობას და აწყობს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილების განზოგადებას სკოლის მუშაკთა სარაიონო, საქალაქო, ზონალურ და რესპუბლიკურ თათბირებისა და სხვა ღონისძიებათა მეშვეობით.

6. უდგენს განათლების სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად მეთოდურ მითითებებს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და საწარმოო სწავლების სპეციალური საგნების უკეთ სწავლების შესახებ და ნერგავს სპეციალური ციკლის საგნებსა, ბუნებათმეცნიერულ დისციპლინებსა და საწარმოო შრომას შორის სწორი ურთიერთ კავშირის დარგში მოპოვებულ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას.

II. მეთოდური კაბინეტის მუშაობის ფორმები

7. მეთოდური კაბინეტი აგზავნის თავის მუშაკებს ადგილებზე, სწავლობს სკოლებში პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მდგომარეობას და ეხმარება სკოლების მუშაკებს: ა) საწარმოო ბაზების შერჩევისა და მოწყობის საქმეში; ბ) ბუნებათმეცნიერული ციკლის საგნების სწავლების გაუმჯობესებასა და ამ საგნების სწავლების ორგანულად დაკავშირებაში სპეციალური საგნების სწავლებასთან; გ) პრაქტიკულად ხელმძღვანელობს სკოლებს სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების, საცდელი მიწის ნაკვეთების, ცოცხალი კუთხეების მოწყობისა და სხვა სახის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებზეც დამოკიდებულია სკოლებში პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მაღალ დონეზე დაყენება.

8. პოლიტექნიკურ და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტის მუშაკები აქტიურად არიან ჩაბმულნი განათლების სამინისტროს მიერ წარმოებულ საპროგრამო-მეთოდურ მუშაობაში: ა) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მეთოდისტები განათლების

სამინისტროს უდგენენ კონკრეტულ მოსაზრებებს იმ თავისებურებათა შესახებ, რომლებმაც უნდა პოვონ ასახვა ცალკეულ საწარმოო-სწავლებიან სკოლებში პროფესიების შესწავლასთან დაკავშირებულ ამ საგნების პროგრამებში; ბ) საწარმოო სწავლების საგნების მეთოდისტები, თავის მხრივ, განათლების სამინისტროს უდგენენ სათანადო მოსაზრებებს საწარმოო სწავლების ციკლის საგნების პროგრამების შემდგომი დაზუსტებისა და გაუმჯობესების შესახებ.

9. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტი ღონისძიებებს სკოლის დირექტორებისა, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ატარებს შემდეგი სახით: ა) აწყობს მათთვის ლექციებს, სემინარებს, ინდივიდუალურ საუბრებს, კონსულტაციებს; ამ მუშაობისას კაბინეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლობის გამოცდილებათა პრაქტიკულად განზოგადებას; ბ) აწყობს პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების დარგში მოწინავე გამოცდილებათა ამსახველი დოკუმენტებისა და ექსპონატების გამოფენას; გ) დასაბეჭდად ამზადებს სასწავლო მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოებს და საინტერესო მეთოდურ მასალებს.

მთელ ამ მუშაობას კაბინეტი წარმართავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან მჭიდრო კავშირში.

10. მეთოდკაბინეტი სისტემატურად აჯამებს სკოლებში პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესწავლის შედეგებს და სათანადო დასკვნებით განსახილველად წარუდგენს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

11. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტი მუშაობს კვარტალური გეგმების მიხედვით, რომელსაც სკოლების სამმართველოს წარდგენით, ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

III. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის სტრუქტურა და შტატი

12. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც შეირჩევა მოწინავე მეთოდისტთა რიგებიდან და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ.

13. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტს ჰყავს: ა) დირექტორი, დირექტორის მოადგილე და მეთოდისტები (ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი, ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-ფეიქარი, ინჟინერ-ელექტრიკი, მერქნის დამუშავების ტექნოლოგი, აგრონომ-მემინდვრე, ზოოტექნიკოსი, ინჟინერი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, ინჟინერი კვების მრეწველობის სპეციალობაში), რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და პედაგოგიური და საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა. მეთოდისტებს მეთოდკაბინეტის დირექტორის წარდგენით ნიშნავს განათლების სამინისტრო; ბ) უფროსი ბუღალტერი, მდივან-მემანქანე, მძღოლი და დამლაგებელი, რომლებსაც ნიშნავს მეთოდკაბინეტის დირექტორი.

14. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის დირექტორი პასუხისმგებელია კაბინეტის მთელ პედაგოგიურ-მეთოდურ მუშაობაზე და მის მატერიალურ-ფინანსურ მდგომარეობაზე. მას ევალება: ა) კაბინეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთმმართველობის საფუძველზე; ბ) მეთოდკაბინეტის პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის განხორციელება; გ) კონტროლის გაწევა მეთოდკაბინეტის მეთოდურ მუშაობაზე; დ) კაბინეტის მიერ დამუშავებული ყველა სასწავლო მეთოდური მასალის განხილვა და ზომების მიღება მათში მოცემული ღონისძიებების განხორციელებაზე; ე) წინადადებათა წარდგენა კაბინეტის თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანისა ან მათი განთავისუფლების შესახებ; ვ) თანამშრომელთა მუშაობის მაღალი ნაყოფიერებისა და სათანადო დისციპლინის უზრუნველყოფა.

15. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ ბიუჯეტზეა.

16. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს თავისი შტამპი და ბეჭედი, სათანადო წარწერით.

17. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის დირექტორი, მოადგილე და მეთოდისტები სარგებლობენ შვებულებით და სხვა შეღავათებით ისე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები.

18. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის კრედიტების განმკარგულებელი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში არის მეთოდკაბინეტის დირექტორი.

19. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია შემდეგი სახსრები: ხელფასი, მივლინებისა და სამეურნეო ხარჯები (მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენა, სასწავლო დანიშნულების მასალების შეძენა, შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტი), ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და წიგნების შეძენისათვის, ლექციებისა და სემინარების ჩატარებისათვის, სასწავლო-მეთოდური ხასიათის მასალების მომზადებისა, გამოცემისა და ადგილებზე დაგზავნისათვის.

IV. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის მოწყობილობა

20. პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტს აქვს: ა) სათანადო ბინა მეთოდისტებისა და ტექნიკურ მუშაკთა ნორმალური მუშაობისათვის; ბ) ავტობუსი თავისი სადგომით; გ) პატარა სახელოსნო სასკოლო სახელოსნოების საჩვენებელი მოწყობილობით; დ) სასწავლო კაბინეტების მოწყობილობის ყველა ახალი ნიმუში; ე) ბიბლიოთეკა პედაგოგიურ-მეთოდური, მეცნიერული და ტექნიკური ლიტერატურის განყოფილებებით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 12 ივნისის დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 6 იანვრის ბრძანება რესპუბლიკის საბავშვო ბაღებში 1960—1961 სასწავლო წელში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება წინა წლებთან შედარებით საბავშვო ბაღების საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა და მნიშვნელოვნად გაძლიერდა მათში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ამას ხელი შეუწყო სკოლამდელი მუშაკებისათვის მოწყობილმა გადასამზადებელმა კურსებმა, ლექცია-მოხსენებებმა, ღია მეცადინეობებმა, ინდივიდუალურმა და ჯგუფურმა კონსულტაციებმა.

რიგი საბავშვო ბაღების გამგეები ბოლო ხანებში უნარიანად ხელმძღვანელობენ პედაგოგიურ-აღმზრდელობით მუშაობას; კარგი შედეგები მოგვცა, კერძოდ, საბავშვო ბაღებში მეთოდური კაბინეტების შექმნამ—კაბინეტები დიდ დახმარებას უწევენ აღმზრდელებს მეთოდური ლიტერატურით, დამხმარე ხელსაწყოებით (ქ. თბილისის 58-ე, 89-ე საბავშვო ბაღები), მითითებებით, კონსულტაციებით.

მრავალ საბავშვო ბაღში პედაგოგიური მუშაობა გეგმიანად მიმდინარეობდა, ყურადღების ცენტრში იდგა აღზრდის ამოცანები და ამასთან დაკავშირებით ბავშვების მიმართ ორი აღმზრდელის (ძირითადი და შემცვლელი) ერთნაირად მიდგომისა და მოთხოვნის დაცვის საქმე. აღმზრდელების უმრავლესობა ჯეროვნად დაეუფლა აღზრდისა და სწავლის მეთოდებსა და ხერხებს, ისინი ბავშვებს უვითარებენ დაკვირვებულობისა და მსჯელობის უნარს, უღვიძებენ ინტერესს ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენებისადმი; მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება მშობლიური ენის შესწავლისა და მეტყველების დეფექტების გამოსწორების მიზნით; გაუმჯობესდა ფიზიკური და მუსიკალური აღზრდის საქმე—ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკალური აქტივის მუშაობა მეთოდისტის ქ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით; მნიშვნელოვნად აწინაურდა თვლა-ანგარიშის სწავლების ხარისხი.

ბევრ საბავშვო ბაღში წლის ბოლოს კარგად ჩატარდა

სააღრიცხვო დილები; დადასტურდა, რომ მრავალი ბაღის უფროსი ჯგუფის ბავშვებს შესაფერი მომზადება აქვთ. გაფართოვდა ზოგიერთი საბავშვო ბაღის ბინა, ბევრ საბავშვო ბაღს ჩატარდა კაპიტალური რემონტი, შეძენილ იქნა დგამ-ავეჯი, თეთრეული, სასწავლო ნივთები და სათამაშოები, მოწყობილ და მოწესრიგებულ იქნა საბავშვო ბაღების გარემო და ეზოები, მაღალ დონეზე ჩატარდა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა (ქ. თბილისის № 1, 2, 4, 8. 30, 47, 61, 68, 69, 89, 102, 106, და მე-6 ბაგა-ბაღი, სოხუმის № 1, 5. 11, ბათუმის № 1, 2, 8, 9, 20, 25, ქ. ქუთაისის № 1, 2, მე-20, მე-16, თელავის № 2 და სხვა ბაღები).

მიუხედავად ამისა, სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ საბავშვო ბაღში ხშირად ირღვევა დღის რეჟიმი, რის გამო დაგვიანებით ტარდება მეცადინეობა და სხვა რეჟიმული მომენტი. ზოგიერთი აღმზრდელი სისტემატურად არ ეწევა მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას, არ მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ცუდად იცნობს სკოლამდელ დაწესებულებათათვის განათლების სამინისტროს მიერ მოწონებულ სახელმძღვანელოში მოცემულ პროგრამულ-მეთოდურ მოთხოვნებს. ამის შედეგად ბავშვების მომზადების დონეც დაბალია, მათში არაა გამომუშავებული საჭირო ცოდნა-ჩვევები, დისციპლინიანობა და სხვ. (აბაშის, ბორჯომის № 1, ქარელის, სამტრედიის № 2, კულაშის, მცხეთის № 2, სურამის და სხვ. საბავშვო ბაღები). მრავალ საბავშვო ბაღში ჯგუფები გადატვირთულია ბავშვებით—ნაცვლად 25-ისა ჩარიცხულია 40—50 ბავშვი. ბინების სივიწროვის გამო დღის ძილი არ ეწყობა აფხაზეთის, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ქ. გორის, აბაშის და სხვა მრავალ საბავშვო ბაღში. მეტად ცუდი მდგომარეობაა ბინების მხრივ ორჯონიკიძის, მცხეთის, სურამის, მესტიის, ამბროლაურის, ხობის საბავშვო ბაღებში, რომელთა შეკეთებაც ავარიული მდგომარეობის გამო შეუძლებელია.

ბევრგან საჭირო ყურადღება არ ექცევა სკოლამდელი დაწესებულებების ნივთიერი ბაზის განმტკიცებას, საბავშვო ბაღების შეკეთებას, სათბობით დროულად მომარაგებას და სხვ. (ქ. თბილისის, ქ. გორის, ქ. ფოთის და სხვ. ბაღები). რესპუბლიკის ბევრ საბავშვო ბაღს არა აქვს თვით აუცილებელი ავეჯიც კი (სკამები, მაგიდები, სხვადასხვა სახის კარადები), არასაკმარისია ჭურჭელი. ამასთან, დამზადებული ავეჯი უხარისხოა და მალე გამოდის ხმარებიდან.

საბავშვო ბაღები დიდ ნაკლოვანებას განიცდიან სათამაშოე-

ბის მხრივ. ჯერ კიდევ არ არის შექმნილი პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის სათამაშო (სიუჟეტური და გასართობი, მსხვილი სამშენებლო მასალა და დიდაქტიკური სათამაშოები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პროდუქტებით მომარაგების საქმე. საბავშვო ბაღები ხშირ შემთხვევაში ვერ ღებულობენ ისეთი სახის პროდუქტებს როგორიცაა რძე, არაჟანი, ხაჭო, ყველი, კვერცხი, თევზი, ხილბოსტნეული და სხვ.

რიგი რაიონების საბავშვო ბაღებში სამედიცინო მომსახურება მოთხოვნილების სიმაღლეზე არ დგას. ბაღებზე მიმაგრებული ექიმები და ექთანები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ საქმიანობას, რის გამო საბავშვო დაწესებულებებში ხშირად უსუფთაობაა, ვრცელდება ინფექციური დაავადებანი და სხვ. (აბაშის, სამტრედიის, ბორჯომის, გურჯაანის, ქარელის, მცხეთისა და სხვა რაიონების ზოგიერთი საბავშვო ბაღები).

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ჯერ კიდევ არის დარღვევები კადრების დანიშვნის საქმეში, საბავშვო ბაღებში საუშაოდ ინიშნებიან განათლების სათანადო ცენზის არ მქონე მუშაკები. ასე მაგ., ახალციხის საბავშვო ბაღის გამგედ დანიშნულია ისტორიკოსი, მცხეთის № 2 საბავშვო ბაღის გამგედ კი — გეოგრაფი და სხვ.

Н 3193

განათლების ადგილობრივი ორგანოები შესაფერის ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ საბავშვო ბაღების მუშაობას: ხელმძღვანელობის გარეშეა დატოვებული საბავშვო ბაღების მუშაკთა მეთოდგაერთიანებები; საჭირო ყურადღება არ ექცევა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობას; ზოგიერთი საბავშვო ბაღი აგარაკებზე მეტად მოუმზადებლად და დაგვიანებით მიდის და ხშირ შემთხვევაში 60 დღესაც ვერ ასრულებს (ნაცვლად 70-ისა).

განათლების განყოფილებები დიდი დაგვიანებით გზავნიან განათლების სამინისტროში წლიური მუშაობის ანგარიშებს სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაზე; ხოლო ახმეტის, ვანის, დმანისის, ზუგდიდის, ლენტეხის, მარნეულის რაიონის განათლების განყოფილებებმა 1960-61 სასწავლო წლის შედეგების შესახებ ანგარიში სრულიად არ წარმოადგინეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო

ბაღების საქმიანობაზე, დროზე აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი;

ბ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ საბავშვო ბაღების ეროვნული ბიბლიოთეკა
თიერი ბაზის განმტკიცების საქმეს და ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციები;

გ) მტკიცედ დაიცვან არსებული წესი და საბავშვო ბაღები დააკომპლექტონ მხოლოდ შესაფერი განათლების მქონე პირებით;

დ) ქმედითი დახმარება გაუწიონ ბაღებს სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებაში და აგარაკებზე დაწესებულ ვადებსა და მომზადებულად გასვლაში.

2. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (უფროსი ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს რესპუბლიკის საბავშვო ბაღები საჭირო თეთრეულითა და დგამ-ავეჯით;

ბ) სათანადო ზომები მიიღოს საიმისოდ, რათა დამამზადებელმა ორგანოებმა არსებითად გააუმჯობესონ გამოსაშვები დგამ-ავეჯის ხარისხი;

გ) პერიოდულად შეამოწმოს საბავშვო ბაღების დგამ-ავეჯითა და პროდუქტებით მომარაგება და ამ საქმის გაუმჯობესების მიზნით დასახოს საჭირო ღონისძიებები;

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ა. ღადუა):

ა) დააწესოს სისტემატური კონტროლი, რათა საბავშვო ბაღების მშენებლობების გეგმა დროულად და მაღალხარისხოვნად იქნეს შესრულებული;

ბ) დროულად მიაწოდოს სამშენებლო მასალა იმ საბავშვო ბაღებს, სადაც გათვალისწინებულია შენობათა მიშენება-დაშენება.

4. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკურმა კომისიამ (პასუხისმგებელი მდივანი ამს. თ. ჯაფარიძე) გააქტიუროს მუშაობა სათამაშოების შექმნისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით.

5. ეთხოვოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააუმჯობესოს საბავშვო ბაღებში სამედიცინო მომსახურება და ეს საკითხი პერიოდულად განიხილოს კოლეგიის სხდომებზე.

6. დაისვას საკითხი ცეკავშირის გამგეობის წინაშე საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ საბავშვო ბაღების პროდუქტებით მომარაგების არსებითად გაუმჯობესების მიზნით.

7. გაფრთხილებულ იქნან ახმეტის, ვანის, დმანისის, ზუგდიდის, ლენტეხის, მარნეულის განათლების განყოფილებათა გამგეები საბავშვო ბაღების წლიური მუშაობის ანგარიშების წარმოდგენილობისათვის.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სისტემატურად შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 5 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 6 იანვრის ბრძანება ლაჯანურის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში ნნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული: ინტერნატი დაკომპლექტებულია სათანადო ცენზის მქონე მასწავლებლებით, პედაგოგიური კოლექტივი მრავალ ღონისძიებას ატარებს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისათვის: აღსაზრდელთა დიდი უმრავლესობა შეგუებულია ინტერნატის რეჟიმს: კარგად მუშაობენ მეთოდური გაერთიანებები, საგნობრივი წრეები და ფიზკულტურული კოლექტივები; სასწავლო და საძინებელ კორპუსებში სისუფთავე და წესრიგია დამყარებული და სხვ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა სკოლა-ინტერნატის მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი: მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები არაა გამომუშავებული, დაბალია ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, წინა კლასებში შესწავლილი მასალა ბავშვთა დიდმა უმრავლესობამ სუსტად იცის, ნაკლები ყურადღება ექცევა ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობას, ენის სწავლება არ უკავშირდება ლიტერატურულ მასალას, დაბალ დონეზე დგას ხატვისა და მუსიკა-სიმღერის სწავლება.

მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით. მეექვსე კლასის არცერთ მოსწავლეს არა აქვს გეოგრაფიისა და ბოტანიკის, ხოლო მე-7 კლასში—ისტორიის სახელმძღვანელო; მესამე კლასის 30 მოსწავლიდან მხოლოდ 5 მოსწავლეს აქვს რუსული ენის სახელმძღვანელო; დიდი რაოდენობით აკლიათ სხვადასხვა სახელმძღვანელოები მეხუთე კლასის მოსწავლეებსაც.

სკოლა-ინტერნატში დღის მეორე ნახევრის ორგანიზაცია მოუწესრიგებელია, დროის ამ მონაკვეთში მოსწავლეებთან მუშაობას გაკვეთილის ხასიათი აქვს და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა მინდობილი აქვთ მხოლოდ აღმზრდელებს.

სკოლა-ინტერნატს არ აქვს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი ნორმების შესაბამი-

სად რბილი და მაგარი ინვენტარით. ინტერნატის ეზო კეთილმოუწყობელია, კაბინეტები და სახელოსნოები ღარიბია იარაღ-ხელსაწყოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსაზრდელთა კვება არადამაკმაყოფილებელია, არ ტარდება მზა კერძების ლაბორატორიული ანალიზი და არაა გამოყენებული კალორიულობა. გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში აღსაზრდელებს ნორმით კუთვნილი პროდუქტებიდან არ მიუღიათ: 1450 კგ კარტოფილი, 1954 კგ ბოსტნეული, 2240 ლიტრი რძე, 2103 ცალი კვერცხი, 261 კგ ხილი, 211 კგ თევზი და სხვა.

ცაგერის რაიონის განათლების განყოფილება არასაკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. გ. ყურაშვილს:

ა) მასწავლებელთა მუშაობაზე დახმარების, ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით უზრუნველყოს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრება;

ბ) შეავსოს ხელსაწყო-იარაღებით სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, წესრიგში მოიყვანოს სასკოლო ბიბლიოთეკა;

გ) მიაღწიოს იმას, რომ მასწავლებელთა, აღმზრდელთა და კლასის ხელმძღვანელთა კოლექტივი მტკიცე ერთობლივ მუშაობას ეწეოდნენ;

დ) სასწრაფო ზომები მიიღოს აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით, ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

ე) საბულალტრო ანგარიშგება აწარმოოს საამისოდ დამტკიცებული ფორმების მიხედვით;

ვ) არ დაუშვას თანხების აუთვისებლობის ან გადახარჯვის შემთხვევები;

ზ) დროულად უზრუნველყოს აღსაზრდელთა შენახვის გადასახადის დარიცხვა, აკრეფა და ბანკში შეტანა;

თ) წესრიგში მოიყვანოს აღმზრდელ-მასწავლებელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეები.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადასცეს სკოლა-ინტერნატს „ლაჯანგესის“ კუთვნილი 21 ფინური სახლი ბალანსიდან—ბალანსზე.

3. ეთხოვოს ცაგერის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს გამოუყოს ლაჯანურის სკოლა-ინტერნატს მიწის ნაკვეთი დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

4. დაევალოს ცაგერის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედში შეამოწმოს სკოლა-ინტერნატის მუშაობა და შედეგების შესახებ სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

5. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას შეისწავლოს ლაჯანურის ინტერნატისათვის ახალი სასადილოს მშენებლობისა და გზის გადაადგილების აუცილებლობის საკითხი და შედეგები მომახსენოს მ/წლის 1 თებერვლამდე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 5 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 20 იანვრის ბრძანება გონებრივი და ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გონებრივი და ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 იანვრის № 6 დადგენილების შესასრულებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა კონტინგენტის დამტკიცებული გეგმის ფარგლებში გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთათვის დამატებით სპეციალური სკოლა-ინტერნატები გაიხსნას: 1962 წელს ქ. თბილისში 200 ბავშვზე, 1963 წელს ქ. სიღნაღში 150 ბავშვზე, 1964 წელს აჭარის ასსრ-ში 100 ბავშვზე, ხოლო 1964 წელს ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატს დაემატოს 50 ბავშვი.

2. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა უზრუნველყონ:

ა) გონებრივად ჩამორჩენილ და დამხმარე სკოლების მეტყველებამოშლილ ბავშვთათვის ლოგოპედური პუნქტების, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სკოლა-ინტერნატებთან და ბაგა-ბაღებთან ლოგოპედური კაბინეტების ჩამოყალიბება;

ბ) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ვ. ი. ლენინის სახ. მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის, გერცენის სახელობის ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის, გორკის სახ. კიევის პედაგოგიური ინსტიტუტის დეფექტოლოგიის ფაკულტეტებზე ლოგოპედებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატებიკ პედაგოგთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის სპეციალისტ დეფექტოლოგებისა და ლოგოპედებზე მოთხოვნების წარდგენა ყოველწლიურად.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ გაითვალისწინოს გონებრივად ჩამორჩენილ და ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშთა-

თვის სკოლა-ინტერნატების ქსელისა და კონტინგენტის დაფინანსება ამ ბრძანების შესაბამისად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 19 იანვრის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 25 იანვრის ბრძანება ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1. სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ მოწონებულ იქნას (მოხსენებითი ბარათი თან ერთვის).

2. მიღებული იქნეს ცნობად, რომ შემოწმების შედეგები განხილულია სკოლებში და ამასთან, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, ადგილებზე სათანადო ზომები იქნა დასახული.

3. ვავალებ ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველყონ ამ მოხსენებითი ბარათის საფუძვლიანად გაცნობა ყველა სკოლის მუშაკთათვის და სათანადო ღონისძიებათა დასახვა.

4. ვავალებ მათვე, ა/წ მარტის ბოლოსათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მოხსენება არსებულ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხსენებითი ბარათი ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ზოგიერთი სკოლის შემოწმების შედეგების შესახებ

1961 წლის 22 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის დ. ა. ჯავახიას, ინსპექტურის უფროსის მ. ნ. ბებურიშვილის, ინსპექტორ-მეთოდისტების დ. კომლაძისა და ო ვახტანგაძის მიერ ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგად დასტურდება, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ძირითადად სწორად წარმართავს მუშაობას და აღწევს ერთგვარ წარმატებებს.

მაგრამ შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა VI—VII კლასებში. მოსწავლეები თეორიულ ცოდნას ენაში ვერ იყენებენ მეტყველების დროს და განსაკუთრებით წერითი სამუშაოების შესრულებისას უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს. შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იცავს წერითი მუშაობის სახეებს, მოსწავლეებს აძლევს ერთი და იგივე ხასიათის წერით დავალებებს, არასწორად აწარმოებს და აფასებს წერით ნამუშევრებს. ამის შედეგია ის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებელი წერის ჩვევები, თემებს წერენ დაუფიქრებლად, ვერ სწვდებიან შინაარსს, X—XI კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები ზოგჯერ ისეა შესრულებული, რომ არც შინაარსით და არც ორთოგრაფია-პუნქტუაციის დაცვით არ განირჩევა უმცროს კლასში შესრულებული ნამუშევრებიდან. მასობრივი მოვლენაა „შპარგალკებით“ სარგებლობა, მასწავლებლები არა თუ იბრძვიან ამის წინააღმდეგ, არამედ ზოგჯერ თვალსაც კი აიდებენ.

ამის ნათელ მაგალითს იძლევა ზესტაფონის და თერჯოლის რაიონების ზოგიერთ სკოლაში ქართული ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მიერ შესრულებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები. თერჯოლის საშუალო სკოლის (მასწ. ვ. ქოჩიაშვილი)

X კლასში 36 მოსწავლიდან (ორი მოსწავლე არ ესწრებოდა წერას) მასწავლებელმა 17 მოსწავლის ნამუშევარი „3“-ზე შეაფასა, ხოლო 19-ისა ორზე. ფაქტიურად 26 მოსწავლეს „2“-ზე აქვს შესრულებული სამუშაო. სასწავლო წლის 1 მეოთხედის შეფასება ქართულ წერაში ამ კლასში ასეთია: „4“ აქვს 7 მოსწავლეს, „3“—22 მოსწავლეს. შეცდომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებმა საფუძვლიანად არ იციან საპროგრამო მასალა, არ შესწევთ უნარი დალაგებულად გადმოსცენ თავიანთი აზრი, უშვებენ უამრავ სტილისტიკურ, ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომას. მაგ. მოსწავლე ტ. ს. რომლის ნამუშევარი მასწავლებლის მიერ „3“-ზეა შეფასებული, წერს „...ელგუჯა, რომელშიდაც მოცემული აქვს იმ დროინდელი ხევსურების ცხოვრება და მოღვაწეობა“. მოსწავლე ც. მ. წერს: „...ეს ის ისტორიული დროა (არჩევს პოემა „ბახტრიონს“), რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მწვავეა. ვაჟა ფშაველას ღვაწლი ის არის, რომ ეს დრო მან ასახა განზოგადებული სახით“. მოსწავლე რ. ასე ახასიათებს ელგუჯას: „ელგუჯა რომ ხანგრძლივი სიყვარულის მატარებელია, ეს იქიდან ჩანს, რომ ელგუჯა როდესაც გამიჯნურდება ჩერქეზის ქალზე, მზაღოზე, იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიდაც კი ახსენებს მზაღოს“.

ზედა საზანოს საშუალო სკოლის XI კლასს საკონტროლო სამუშაოდ მიეცა მარტივი თემა: „შეთქმულთა დამარცხება მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით“. წერდა 19 მოსწავლე, აქედან „2“-ზე შესრულებულია 13 მოსწავლის ნამუშევარი. საგულისხმოა, რომ არცერთ მოსწავლეს არ უცდია აეხსნა შეთქმულთა დამარცხების მიზეზი, მოკლედ მაინც დაეხასიათებინა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა მე-19 საუკუნის დასაწყისში. თემა შესრულებულია დაბალ დონეზე, გადმოცემულია ნაწარმოების ერთ-ერთი ეპიზოდის მოკლე შინაარსი და ისიც არა სრულყოფილად (მასწ. გ. მექვაბიძე).

ასევე არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის VII² კლასის მოსწავლეთა (მასწ. ნ. სირაძე) და ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები (მასწ. ნ. ასათიანი). ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ვ. გ., ეხება რა გ. ტაბიძის შემოქმედებას, წერს: „პირველი პერიოდი არის რევოლუციური პერიოდი, მეორე პერიოდს ეკუთვნის რევოლუციის შემდგომი პერიოდი. ამ პერიოდში დაიწყო“... და ასე შემდეგ. მსგავს შეცდომებს უშვებენ მოსწავლეები ა. ა., ნ. ჯ., ე. ა., ი. ქ., რ. მ. და სხვანი.

ძირითადი მიზეზი დასახელებული ნაკლოვანებებისა ალბათ ის, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ერთი ნაწილი საკმაო გულმოდგინებით არ ეკიდება საქმეს. ამა-ზეზეზეა გაკვეთილებისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, იჩენს ლიბერალიზმს ცოდნის შეფასებაში, ნაკლებად ზრუნავს თავისი მომზადების დონის ამაღლებაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის არაა სათანადოდ გამოყენებული პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება, საწრეო მუშაობა, დაბალ დონეზეა საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა. ისიც გარკვევით ჩანს, რომ განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლის ხელმძღვანელობამ შეასუსტეს დახმარება და ზედამხედველობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე.

დაბალია ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე მათემატიკაში. საკონტროლო წერითი ნამუშევრები (ერთი უბრალო სახის ამოცანა გეომეტრიიდან გაძოანგარიშებაზე და ერთი მაგალითი ალგებრიდან—ბინომის განამწკრივის წევრის პოვნაზე), მასწავლებელმა ი. მუმლაძემ ასე შეაფასა: ოთხ მოსწავლეს დაუწერა „4“, 11 მოსწავლეს—„3“ და 15 მოსწავლეს—„2“. ნამუშევრების გულდასმით გადასინჯვით ნიშანი „4“ დაეწერა 1 მოსწავლეს, „3“—სამ მოსწავლეს, ხოლო „2“—27 მოსწავლეს. ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს (მასწავ. ზ. მჭედლიძე) გეომეტრიაში დაზეპირებული აქვთ თეორემები, მაგრამ უბრალო სახის ამოცანების ამოხსნა მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ.

საკონტროლო წერა ჩატარდა აგრეთვე ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის X—XI კლასებშიც. თემები შერჩეული იქნა მასწავლებლებთან შეთანხმებით. ნამუშევრების გასწორების შედეგად რუსული სექტორის 15 მოსწავლიდან (მასწ. გ. პოზოვი) არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაეწერა 4 მოსწავლეს, ხოლო ქართული სექტორის 11 მოსწავლიდან (მასწ. რ. ვაჭარაძე)—5 მოსწავლეს.

ზესტაფონის რაიონის ძირულის საშუალო სკოლის X კლასშიც (მასწ. ყაზაშვილი) ჩატარდა საკონტროლო წერა. დადასტურდა, რომ მასწავლებელი არ ცდილა მოსწავლეებში დაენერგა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები; საკონტროლო წერისას მოსწავლეებს იგი აძლევდა ახსნა-განმარტებას, მიუხედავად ამისა, 12 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო 8 მოსწავლემ.

თერჯოლის რაიონის სკოლებში მათემატიკის სწავლების საქმეში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. თერჯოლის საშუალო სკოლის XI კლასში მათემატიკას სასწავლო ნაწილის გამგე შ. აბა-

ზიძე ასწავლის. მასწავლებელთან შეთანხმებით საკონტროლო წერისათვის შერჩეულ იქნა ამოცანა გეომეტრიიდან გამოანგარიშებაზე და ერთი მაგალითი ტრიგონომეტრიიდან, რაც ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა (ამოცანის პირობის მიხედვით უნდა განესაზღვრათ მართკუთხა აპარალელეპიპედის ფუძის გვერდები). მოსწავლეთა მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ პარალელეპიპედის ფუძის ფართი, რომელიც ამოცანის პირობის მიხედვით ცნობილი იყო, პერიმეტრს გაუტოლეს. ამავე სკოლის VIII კლასში მათემატიკას ასწავლის მასწავლებელი ს. მაკარაძე. მასთან შეთანხმებით საკონტროლო წერისათვის შეირჩა ერთი ამოცანა გეომეტრიიდან გამოანგარიშებაზე (რომელიც კლასში ამოხსნილი ჰქონდათ), ალგებრიდან კი ორი მაგალითი—რაციონალური თანამამრავლის ფესვს გარეთ გატანაზე და ფესვების გადამრავლებაზე. 34 მოსწავლიდან შეფასება „2" მიიღო 32 მოსწავლემ; აღსანიშნავია, რომ ამ კლასებს გასულ სასწავლო წელსაც ეს მასწავლებლები ასწავლიდნენ. დაბალია აგრეთვე თერჯოლის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწავლებელი შ. შეყრილაძე) მოსწავლეთა მომზადება გეომეტრიაში. მოსწავლეებს თეორემებიდა განსაზღვრებანი უაზროდ აქვთ დაზეპირებული და უბრალო სახის ამოცანების ამოხსნისას ვერ იყენებენ მათ.

ანალოგიური მდგომარეობაა ზედა საზანოს საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწ. კ. გიორგაძე). საკონტროლო წერისათვის მასწავლებელმა ისეთი იოლი სახის ამოცანა შეარჩია გეომეტრიაში, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ამოეხსნა. მიუხედავად ამისა, 21 მოსწავლიდან 17 მოსწავლემ მაინც მიიღო შეფასება—„2". ამავე კლასის მოსწავლეებმა ალგებრაში ტოლფუძიანი ხარისხების გამრავლებაც კი არ იციან. X კლასის (იგივე მასწავლებელი) მოსწავლეებმა ტრიგონომეტრიაში თუმცა იციან გავლილი თეორიული მასალა, უმრავლესობამ შეძლო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაც, მაგრამ უჭირთ დამოუკიდებლად მაგალითების ამოხსნა.

ბარდუბნის (მასწ. ნ. კლდიაშვილი) და ზედა სიმონეთის (მასწ. ალ. ნიშნიანიძე) საშუალო სკოლების X კლასებში მოსწავლეთა მომზადების დონე აგრეთვე ძალზე დაბალია. საკონტროლო წერაზე მიცემული უბრალო სახის ამოცანა გეომეტრიიდან გამოანგარიშებაზე და ერთი მაგალითი ალგებრიდან ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა და ყველამ მიიღო შეფასება „2". ზედასიმონეთის საშუალო სკოლის მოსწავლენი ვერ ასხვავებენ ერთი მეორისაგან სიბრტყის გარეთ მდებარე წერტილიდან გავლებული ორი დახრილის პროექციებს შორის მდებარე კუთხეს და ამავე დახრილებს შორის მდებარე კუთხეს. ამავე სკოლის V კლასის (მასწ.

ვ. გიორგაძე) ზოგიერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო შერეული რიცხვის არაწესიერ წილადად გადაქცევა და სხვ. ბარდუბნის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. ბ. ბარდაველიძე) მოსწავლეებს არ შესწევთ დამოუკიდებლად მრავალწევრთა თანამამრავლებად დაშლის უნარი; ისინი ვერ ხსნიან ვერც ერთ მაგალითს მასწავლებლის დახმარების გარეშე. მასწავლებელ ბ. ბარდაველიძეს აკლია პედაგოგიური დახელოვნება.

შესწავლილი სკოლების თითქმის ყველა მასწავლებელი საკონტროლო წერების ჩატარებისას კმაყოფილდება უბრალო სახის ამოცანებისა და მაგალითების მიცემით. ამით ისინი ხელოვნურად ზრდიან კლასის წარმატებას, მოსწავლეებს კი მათემატიკაში საფუძვლიანი ცოდნა არ ეძლევა. მაგალითად, პირველი მეოთხედის ბოლოს ზედასიმონეთის საშუალო სკოლის X კლასის 22 მოსწავლიდან შეფასება „2“ აქვს ალგებრა-გეომეტრიაში 6 მოსწავლეს, ტრიგონომეტრიაში 9-ს. თერჯოლის საშუალო სკოლის XI კლასის 33 მოსწავლიდან ალგებრა-გეომეტრიაში 4-სა და ტრიგონომეტრიაში—3-ს, რაც საქმის მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ გამოხატავს.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 12 მაისის № 324 ბრძანებას, რომლითაც მათ ევალებათ საკონტროლო წერის თემების დამტკიცება. თავის მხრივ, ბევრი მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს არითმეტიკაში შესწავლილი წესების განზოგადება-გაღრმავებას, რაციონალური რიცხვების შესწავლისას არ იყენებს ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებს, ნაკლებად ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, კმაყოფილდება მაგალითებზე ვარჯიშით და სხვ. გეომეტრიის სწავლებისას მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყენებს თვალსაჩინოებას, ყურადღებით არ ეკიდება პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნას, რის გამოც მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი პრაქტიკული დავალებების შესრულებისას გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა.

შესწავლილი სკოლების დიდ ნაწილში ფიზიკის კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების და სადემონტრაციო ცდების ჩატარებას. კერძოდ, ძირულისა და ბარდუბნის საშუალო სკოლების თუნდაც ფიზიკის კაბინეტები ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფენ სასკოლო ექსპერიმენტის დაყენებას უმნიშვნელოვანესი საკითხების მიხედვითაც კი. ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი მნიშვნელოვნადაა შევსე-

ბული ხელსაწყო-იარაღებით, მაგრამ ბინის უქონლობის გამო მასწავლებლები ვერ ახერხებენ მათ გამოყენებას. სკოლები არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო კინოსურათებით. მასწავლებლები ფიზიკის სწავლებას ვერ უკავშირებენ სპეციალური ციკლის საგნების სწავლებას; ფიზიკის წრეებში ყურადღება არ ექცევა თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოქმედი მოდელების დამზადებას. ძირულისა და ბარდუბნის საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლები შ. ექსეულიძე და ს. ბარდაველიძე ნაკლებად იყენებენ სწავლების დროს აქტიურ მეთოდებს და გაკვეთილებს სქემატურად, მშრალი თხრობის სახით გადასცემენ. VIII კლასში თემა „ძალების შეკრება" მასწავლებელმა შ. ექსეულიძემ ცდების გარეშე გადასცა, მაშინ როცა ფიზიკის კაბინეტი ამ ექსპერიმენტის დაყენების საშუალებას აძლევდა. ამასთანავე, მოქმედი ძალების შეკრებისას მოსწავლეებს ვერ მისცა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორაა ტოლქმედის სიდიდე დამოკიდებული კუთხის სიდიდეზე. მასწავლებელმა ს. ბარდაველიძემ კი IX კლასში თემის „სითხის სტაციონალური დინების" დამუშავებისას ილაპარაკა მხოლოდ თვითონ, მოუთხრო სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის მოკლე შინაარსი და არავითარი მონაწილეობა არ მიაღებინა მოსწავლეებს გაკვეთილის პროცესში. VIII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან სიჩქარის ერთეულებში, ძალის სახეებში და სხვ. X კლასის „ხუთოსანმა" მოსწავლემ ფორმულიდან $Q=0,24\ J^2Rt$ ვერ შესძლო J-ს განსაზღვრა და მიახლოებითი კვადრატული ფესვის ამოღება ორიდან.

მსგავს მდგომარეობას აქეს ადგილი ზედა საზანოს და ზედა სიმონეთის საშუალო სკოლების VIII და IX კლასებში. ზედა საზანოს ფიზიკის მასწავლებელი პ. ნებიერიძე თვითონ არ არის დაუფლებული სკოლაში არსებულ ხელსაწყოებზე ცდების დაყენების ტექნიკას და საგნის სწავლების მეთოდებს, იშვიათად აძლევს მოსწავლეებს საშინაო წერით დავალებებს და მათგან მოითხოვს მხოლოდ ფორმულებისა და კანონების ზეპირად ცოდნას.

ყველა შესწავლილი სკოლის ფიზიკის მასწავლებლები, თუმცა ჩაბმული არიან საგნობრივ-მეთოდურ გაერთიანებაში, საწარმოოსწავლებიან სკოლებში შექმნილია საწარმოო სწავლების კლასების მასწავლებელთა სასკოლო პოლიტექნიკური მეთოდური გაერთიანება პოლიტექნიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთათვის, მაგრამ სკოლების ერთ ნაწილში ჯერ-ჯერობით ამ მხრივ გეგმიან მუშაობას არ ატარებენ. მაგალითად, ბარდუბნის საშუალო სკოლის პოლიტექნიკური მეთოდური გაერთია-

ნების სამუშაო გეგმაში არცერთი მეთოდური ხასიათის თემის/ დამუშავება არ არის გათვალისწინებული.

შესწავლილ სკოლებში შექმნილია ფიზიკა-ტექნიკის წრეები, მაგრამ ამ წრეების მუშაობა უფრო მეტად თეორიულ ... ... საა, არ ხდება კინო-საპროექტო დანადგართა, რადიო და ფოტო საქმის შესწავლა, თვითნაკეთ ხელსაწყოთა დამზადება და სხვ.

ზესტაფონის და თერჯოლის რაიონის სკოლების ერთ ნაწილს საწარმოო სწავლებისათვის შესაფერისი მატერიალური ბაზები აქვთ შექმნილი და უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური კადრებით. ასე, ფეროშენადნობთა ქარხანამ 1-ლი და მე-4 საშუალო სკოლებისათვის ისეთნაირად მოაწყო 640 კვადრატული მეტრი ფართობის სასწავლო საამქრო სამეცადინო და სათავსოთახებით, რომ ორცვლად უზრუნველყოფილია 201 მოსწავლის საწარმოო სწავლება; ამ საქმეს ხელმძღვანელობს 16 ინჟინერი და მაღალი კვალიფიკაციის ოსტატი-მასწავლებელი. საგანთაშორის კავშირის დამყარების მიზნით პოლიტექნიკური ციკლისა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა) მასწავლებელთათვის შექმნილია საგნობრივი მეთოდკომისია. ასეთი კომისიის სხდომაზე მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ახდენს საწარმოო სწავლებაში მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზებას და მასწავლებელთა კოლექტივთან ერთად სახავს ღონისძიებას არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამწუხაროდ, შემოწმებული სკოლების დიდ ნაწილს სახელოსნოები ჯერ კიდევ მოუწყობელი აქვთ. ასეთებია, მაგალითად, ზესტაფონის და ძირულის საშუალო სკოლები; ძირულის საშუალო სკოლის სახელოსნოში მეცადინეობის ჩატარება შეუძლებელია, ხოლო ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლაში კი დადგმული არ აქვთ ჩარხები და დაზგები. მიუხედავად იმისა, რომ ზედა სიმონეთის საშუალო სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს გადაეცა ახალი სასკოლო შენობა, სასწავლო სახელოსნო სარდაფში მოათავსეს და მისი ფართობის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული. ბარდუბნის საშუალო სკოლას სასწავლო სახელოსნოსათვის ცალკე ბინა აქვს აგებული, მაგრამ ინვენტარიოა და ხელსაწყო-იარაღებით იგი ძალზე ღარიბია.

შესწავლილი სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო ბაზით მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში. ამასთან მანქანათმცოდნეობას ზოგჯერ ასწავლიან არასპეციალისტები. ზედა სიმონეთის საშუალო სკოლის მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი აგრონომი მ. კლდიაშვილი თვით ვერ ერკვევა ავტომანქანისა და

კვანძების მოქმედების პრინციპებში, იგი ვერ ფლობს საშუალო სკოლის ფიზიკის კურსს, ამიტომ არ შეუძლია ავტომანქანაში მიმდინარე ფიზიკური პროცესების ახსნა. მან ვერ შესძლო [illegible] გამოსახვა $\frac{\text{კმ}}{\text{ს}}$, აქვე დავძენთ, რომ ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები (მასწ. გ. მერაბაშვილი) თავისუფლად სწყვეტენ ასეთსა და უფრო რთული ხასიათის საკითხებს.

ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებში ჯერ კიდევ მეტად დაბალ დონეზე დგას ქიმიის სწავლება. ნაკლებად იგრძნობა ზრუნვა კაბინეტების გამდიდრებაზე; მათი დიდი ნაწილი კეთილმოუწყობელია და ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას ქიმიაში. ამის შედეგად სასკოლო კურსის გავლაც ხშირად ზეპირსიტყვიერად წარმოებს, მოსწავლეები ვერ ეცნობიან პრაქტიკულად ქიმიური წარმოების საფუძვლებს.

მოუთმენლად დაბალია მოსწავლეთა მომზადება ქიმიაში კერძოდ თერჯოლის რაიონის ბარდუბნის საშუალო სკოლის X კლასში, მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ მეტალთა ქიმიურ თვისებებზე, ალუმინის ნაერთების ამფოტერობაზე, ალუმინოთერმიაზე, წყლის სიხისტეზე და მის თავიდან აცილების ქიმიურ საშუალებებზე. ეს აიხსნება მასწავლებლის დ. ჩაფიძის მოუმზადებლობით. იგი თვითონ სათანადოდ ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების ხერხებს, არ მუშაობს თავის თავზე, ოდესღაც შეძენილი ცოდნის მარაგით კმაყოფილდება. მასთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ იგი ვერ ერკვევა რიგ მეტად მნიშვნელოვან საკითხებში—სახელდობრ: ემპირიული ფორმულებიდან ცალკეული ელემენტის ვალენტობის განსაზღვრაში, ნაერთთა სტრუქტურულ ფორმულებში, სუფრის მარილის წყალხსნარის ელექტროლიზში, უხეშ შეცდომებს უშვებს იონურ ტოლობებში. დ. ჩაფიძე უპასუხისმგებლოდ ეკიდება პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, VIII კლასში მას ნაცვლად 4 საათისა ჩატარებული აქვს 2 საათი და ნამუშევრები ერთი-მეორის ასლს წარმოადგენს. მსგავსი მდგომარეობაა X კლასში, იმ განსხვავებით, რომ პრაქტიკული სამუშაოებისათვის პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული თემები შეცვლილია.

მეტისმეტად სუსტია აგრეთვე ზედა სიმონეთის საშუალო სკოლის IX—X კლასების (მასწ. კ. ჯანელიძე) მოსწავლეთა ცოდნა. მათ ვერცერთ კითხვაზე ვერ გასცეს დამოუკიდებელი პასუხი—წიგნებს იმარჯვებდნენ და მოურიდებლად ეძებდნენ განმარტებებს. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან მეტალთა განლაგება პერიოდულ სისტემაში, პერიოდული კანონი თანამედროვე გაგებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 14 მარტის ბრძანება წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს

გავეცანი რა წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ რაიონების სკოლების ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამ მხრივ გამოირჩევიან წულუკიძის რაიონის გოჩაჯიხაიშის საშუალო და წყალტუბოს რაიონის გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლები (დირექტორები ი. იობიძე და პ. გვიშიანი). ამასთან ცალკე სკოლების ბევრი მასწავლებელი სათანადოდ ემზადება გაკვეთილისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეები საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ. მათგან აღსანიშნავია ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლები დ. ავალიანი, ნ. წიწილაშვილი (წყალტუბოს ქართული საშ. სკოლა), თ. წულუკიძე (წყალტუბოს რაიონი, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), ი. იობიძე და ე. ცაგარეიშვილი (წულუკიძის რაიონი, გოჩა ჯიხაიშის საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: გ. ქათამაძე (წყალტუბოს რაიონი, გეგუთის საშ. სკოლა), თ. ყუფარაძე (წყალტუბოს რაიონი, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), ლ. ჩხენკელი (წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლა) მათემატიკის მასწავლებლები: ნ. ყურაშვილი (წყალტუბოს რაიონი, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), გ. ფანცხავა და ს. კინწურაშვილი (წყალტუბოს ქართული საშ. სკოლა), ი. ბახტაძე (წულუკიძის II საშ. სკოლა), ს. ცაგარეიშვილი (წულუკიძის რაიონი, გოჩა ჯიხაიშის საშუალო სკოლა), ბ. ბარაბაძე (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები: ქ. ჩირგაძე (წულუკიძის II საშ. სკოლა), ს. ჩარგეიშვილი (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), შ. მხეიძე და ი. უგულავა (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშ. სკოლა), დ. ჯანგავაძე (წყალტუბოს საშუალო სკოლა), ლ. შენგელია (წყალტუბოს რაიონი, გეგუთის საშუალო სკოლა) და სხვ. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე დაწყებითი

კლასის მასწავლებლები: წ. ჩიმაკაძე (წულუკიძის II საშ. სკოლა), ქ. ყუბანეიშვილი (წყალტუბოს რაიონის, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), ნ. ჭავჭანიძე (წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლა) და მ. ტაბიძე (წულუკიძის II საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონებში საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ ზოგიერთ სკოლას შესაფერისი სასწავლო ბაზები გააჩნია, ბევრ სკოლაში კარგად არის შერჩეული საწარმოო სწავლების პროფილები და სკოლები დაკომპლექტებულია საგნის სათანადო სპეციალისტებით.

მიუხედავად ამისა შემოწმებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები: დ. ლორთქიფანიძე (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშ. სკოლა), ბ. ჭოლაძე (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშ. სკოლა), ლ. ხუროძე (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა) არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან დედაენასა და არითმეტიკას; ბავშვებს არა აქვთ გამომუშავებული სწორი, გამართული კითხვის, სუფთად და სწორად წერის ჩვევები. დაბალია მოსწავლეთა ცოდნა ზეპირ ანგარიშში.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ზოგიერთი მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდიკას, მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, გულდასმით არ ასწორებს საკონტროლო და საშინაო წერით ნამუშევრებს, არ ასრულებს წერის ნორმებს: წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის (მასწ. პ. ნიშნიანიძე და ჯ. ბუაძე), წულუკიძის რაიონის ძეძილეთის (შ. აბზიანიძე), კუხის (დირექტორი და მასწავლებელი ო. ყურაშვილი და მასწ. გ. კაკაბაძე) და სხვა. საშუალო სკოლებიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს წყალტუბოს რაიონის გეგუთის საშუალო სკოლის (მასწ. ნ. ბოდოკია) და წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის (მასწ. ი. ჩხენკელი) მოსწავლეებმა, რომელთა დიდმა უმრავლესობამ საკონტროლო წერაში მიიღო შეფასება „2“.

წულუკიძის რაიონის ძეძილეთისა (მასწ. ვ. სლესარევა) და წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის (მასწ. ვ. კაპტიოროვა) საშუალო სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლა სასწავლო წლის პირველ ნახევარში დაამთავრეს. მასწავლებლები ვ. კევლიშვილი (წულუკიძის რაიონი, კუხის საშ. სკოლა) და შ. ჩაჩხიანი (წყალტუბოს საშ. სკოლა) არ იცნობენ საქართველოს სსრ განათ-

ლების სამინისტროს მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ რუსულ ენასა და ლიტერატურაში, არ იცავენ წერის ნორმებსა და სახეებს, ბევრ მოსწავლეს არა აქვს საკლასო-საშინაო რვეული, ხოლო ვისაც აქვს, მათი რვეულები არ სწორდება; ხშირად შეცდომების გასწორებაზე საგულდაგულო მუშაობა შეცვლილია მექანიკური გადაწერით და სხვ.

მეტად მძიმე მდგომარეობაა მათემატიკის სწავლების მხრივ წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის საშუალო სკოლაში; მათემატიკის მასწავლებლები გ. კუჭავა და ი. ბერიძე არადამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, უშვებენ შეცდომებს მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნისას. ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნა მათემატიკურ დისციპლინებში წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლის V-VI კლასებში (მასწ. შ. კაკაბაძე) და წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის დამამთავრებელ XI კლასში (მასწ. ვ. ჯურხაძე); შემოწმების დღეს ამ კლასში საშუალო სიძნელის ამოცანა და მაგალითი ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა.

შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ ყველა სახის ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებას. ძალზე დაბალ დონეზეა დაყენებული ფიზიკის სწავლება წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლაში. ფიზიკის 12 საათი აქ სამ მასწავლებელზეა განაწილებული. სკოლას არა აქვს ფიზიკის კაბინეტი, ხელსაწყოების ნაწილი მოთავსებულია კლასკაბინეტში, ნაწილი კი ბიოლოგიის კაბინეტში; ხელსაწყოები მოუვლელი და დაზიანებულია და პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩატარება მოუხერხებელია. ყურადღება არ ექცევა ამოცანებზე ვარჯიშს ფიზიკაში და სხვ.

დაბალ დონეზე დგას ისტორიის სწავლება წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის საშუალო სკოლაში (მასწ. მ. იოსელიანი). VII კლასში გაკვეთილი მან მოუმზადებლად ჩაატარა, რის შედეგად მთელი რიგი საკითხები აუხსნელი დატოვა, ხოლო ის, რაც ახსნა, ზოგადად და ზერელედ.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს. წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლიდან განთესილია—1, ოფშკვითის საშ. სკოლიდან—3, გეგუთის საშ. სკოლიდან—1, წულუკიძის II საშუალო სკოლიდან—3 და წულუკიძის რუსული საშუალო სკოლიდან—4 მოსწავლე. წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონებში შეუ-

სრულებელია მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. მაგალითად, წყალტუბოს რაიონს დააკლდა—63, ხოლო წულუკიძის რაიონს—134 ბავშვი, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია იმით, რომ სკოლები ვერ ახერხებენ ყველა მეორეწლიან მოსწავლეთა მთლიანად შენარჩუნებას. წულუკიძის რაიონში 177 მეორეწლიან მოსწავლიდან ამჟამად სკოლაში სწავლობს მხოლოდ 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს (წულუკიძის რაიონის კუხის, მათხოჯის და წყალტუბოს რაიონის გვიშტიბისა და გეგუთის საშუალო სკოლები). საგნების სიძნელეების მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული, ადგილი აქვს გაკვეთილების გაწყვეტილების ხშირ შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა მთელ რიგ სკოლებში. მეთოდურ გაერთიანებათა გეგმები ზოგადია, მოხსენებები ზერელე და არასაინტერესო. განათლების სამინისტროს ბრძანებები ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ არ არის განხილული პედსაბჭოსა და მეთოდურ გაერთიანებათა სხდომებზე, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ამ ბრძანებებს არ იცნობს.

შესწავლილი სკოლების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სათანადოდ არ უვლის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს, წიგნები დაზიანებული და გაჭუჭყიანებულია; არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის, ოფშკვითის, გეგუთის, წულუკიძის რაიონის ძეძილეთისა და კუხის საშუალო სკოლებში.

შესწავლილ სკოლებში არ არის მიზიდული გეგმით გათვალისწინებული სათბობი მასალა, ასევე მოუწესრიგებელია ღუმელები და გასათბობი სისტემა, რის შედეგადაც სასკოლო შენობების გათბობა ზამთრის სეზონში შეუძლებელია.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. წულუკიძის რაიონის კუხის (დირექტორი ო. ყურაშვილი), ძეძილეთის (დირექტორი დ. გენელიძე და სასწავლო ნაწილის გამგე ნ. გიორხელიძე), წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის (დირექტორი ვ. მარგველაშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე გ. ძოძუაშვილი), გვიშტიბის (სასწავლო ნაწილის გამგე მ. იოსელიანი) საშუალო სკოლებში სუსტად ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობას. ზემოაღნიშნული სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს მცირე რაოდენო-

ბით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და ისიც არა აქვთ სწორად გაანალიზებული. ო. ყურაშვილი (წულუკიძის რაიონის კუბის საშ. სკოლის დირექტორი) და მ. იოსელიანი (წყალტუბოს რაიონის ... ...ტიბის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე) ვერ ეოკვეიან სასკოლო მუშაობის ძირითად საკითხებში და მასწავლებლებს გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ აძლევენ მეთოდურად არასწორ და მეცნიერულად გაუმართლებელ შენიშვნებს, რაზედაც მასწავლებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

წყალტუბოს (გამგე მ. თევდორაძე), წულუკიძის (გამგე გ. თედორაძე) რაიონების განათლების განყოფილებები პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად არა საკმაო რაოდენობით ამოწმებენ სკოლების მუშაობას. მართალია, შემოწმებული სკოლების მუშაობის შესახებ საკითხს იხილავენ აღმასკომისა და განათლების საბჭოს სხდომებზე და სახავენ ღონისძიებებს, მაგრამ მიღებული დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულებას არ ამოწმებენ, არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ სკოლებს მეთოდური მუშაობის დარგში, სუსტად იბრძვიან საჭირო კადრებით სკოლების უზრუნველყოფისა და სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სათანადოდ ემზადებოდეს გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს უნერგავდეს მტკიცე ცოდნას;

ბ) სასწავლო კაბინეტები შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული მუშაობა ტარდებოდეს სისტემატურად;

გ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტად დაცვით;

დ) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, განიხილონ პედსაბჭოსა და საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებათა სხდომებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 8 ივლისის № 488, 29 ივნისის № 460, 17 მაისის № 324, 7 აგვისტოს № 563 და 12 აგვისტოს № 585 ბრძანებები და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ე) უზრუნველყონ სასკოლო შენობებისა და ეზო-კარმიდამოს სანიმუშოდ მოვლა-გამშვენება; მიზნობრივად გამოიყენონ სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი; მტკიცედ დაიცვან სკოლაში და მოსწავლეთა შორის სანიტარიგიენური პირობები; მიაღწიონ იმასაც, რომ ყველა მოსწავლე სკოლაში ატარებდეს და წესიერად უვლიდეს სასკოლო სახელმძღვანელოებს;

ვ) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმისათვის; არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა უმიზეზოდ განთესვა;

ზ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გარდაქმნა.

2. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ნ. ბოდოკიას (წყალტუბოს რაიონი, გეგუთის საშუალო სკოლა), ჯ. ბუაძეს (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა), შ. აბზიანიძეს (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშუალო სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს გ. კუჭავას და ი. ბენიძეს (წყალტუბოს რაიონი, გვიშტიბის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური და გაფრთხილებულ იქნან, თუ უმოკლეს ვადაში არ გამოასწორებენ მუშაობას, განთავისუფლებულ იქნებიან სამუშაოდან.

3. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დ. ლორთქიფანიძეს (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშუალო სკოლა), ბ. ჭოლაძეს (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა), ლ. ხუროძეს (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ვ. კევლიშვილს (წულუკიძის რაიონი, კუხის საშუალო სკოლა), შ. ჩაჩხიანს (წყალტუბოს საშუალო სკოლა), ფიზიკის მასწავლებლებს რ. კაკაბაძეს და ვ. გორდაძეს (წულუკიძის რაიონი, კუხის საშ. სკოლა), გ. ოფოძეს (წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლა) და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: გ. კაკაბაძეს (წულუკიძის რაიონი, კუხის საშუალო სკოლა), პ. ნიშნიანიძეს (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა).

4. მიღებულ იქნას ცნობად წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგის გ. თედორაძის განცხადება, რომ წულუკიძის

I-ლი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელ ქ. ცომაიას, წულუკიძის I საშუალო სკოლის XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ი. ჩხენკელს და ამავე კლასის მათემატიკის მასწავლებელ ვ. ჯურხაძეს ჩამოერთვათ გაკვეთილები სათანადო კვალიფიკაციის უქონლობისა და საგნების არადამაკმაყოფილებლად სწავლების გამო.

5. წულუკიძის რაიონის ძეძილეთის საშუალო სკოლის დირექტორს დ. გენელიძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. გიორხელიძეს, კუხის საშუალო სკოლის დირექტორს ო. ყურაშვილს, წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. მარგველაშვილს, სასწავლო ნაწილის გამგეს გ. ძოძუაშვილს და გვიშტიბის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მ. იოსელიანს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

6. წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. მ. თევდორაძემ და გ. თედორაძემ:

ა) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი; სისტემატურად შეამოწმონ სკოლების მუშაობა და იბრძოლონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; ბ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯონ სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შემადგენლობა და ისინი, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, შესცვალონ საქმის მცოდნე და უნარიანი კადრებით;

გ) რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვ. სლესარევას (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშუალო სკოლა) და ვ. კაპტიოროვას (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა) პროგრამული მასალის ნაჩქარევად და უხარისხოდ გავლისათვის დაადონ სათანადო სასჯელი.

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 2 მარტის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 21 მარტის ბრძანება უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის № 468 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილებების შესასრულებლად განათლების სამინისტრომ გაატარა რიგი ღონისძიებები:

მიმდინარე სასწავლო წელს V კლასები იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, რომლებიც შენობებისა და მასწავლებელთა კადრების მხრივ სათანადოდ არიან უზრუნველყოფილი და რომლებშიც 25-ზე მეტი მოსწავლეა, უცხო ენის გაკვეთილზე გაიყო ორ ჯგუფად; მომდევნო წლებში ამგვარადვეა გათვალისწინებული თანდათანობით VI, VII, VIII და ა. შ. კლასების გაყოფა;

რესპუბლიკის 10 სკოლასა და 3 სკოლა-ინტერნატში შემოღებულია უცხო ენების სწავლება II კლასიდან; შედგენილი და დამტკიცებულია სასწავლო გეგმა და პროგრამები სკოლებისათვის ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლებით და დებულება ამ სკოლების მუშაობის შესახებ;

შედგენილ იქნა და 1962 სასწავლო წლისათვის გამოიცემა ორიგინალური სახელმძღვანელოები გერმანულ და ფრანგულ ენებში II და ინგლისურ ენაში III კლასებისათვის;

დამტკიცებულ იქნა თვალსაჩინო მასალების სანიმუშო სია;

ქ. თბილისში და რესპუბლიკის დიდი ქალაქების ზოგიერთ სკოლასთან ჩამოყალიბებულია უცხო ენების შემსწავლელთა წრეები, მათთვის შედგენილია სამუშაო პროგრამები;

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოაწყო 6-თვიანი კურსები ქ. თბილისის უცხო ენების მასწავლებელთათვის;

აკრძალულ იქნა სპეციალური კომისიის სათანადო დასკვნის გარეშე უცხო ენების მასწავლებელთა დანიშვნა სკოლებში.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული უცხო

ენების სწავლებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, თელავის, ბიათურის და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონების განყოფილებანი მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სკოლებში უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების საქმეს.

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, თავის მხრივ, განათლების სამინისტრომ შეამოწმა უცხო ენების სწავლების მდგომარეობა ქ. ქუთაისის, ახალქალაქის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების სკოლებში. შემოწმების მასალებიდან ჩანს, რომ ბევრმა მასწავლებელმა გარდაქმნა მუშაობა უცხო ენების სწავლებისადმი წაყენებულ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან: ფრანგული ენის მასწავლებლები თ. სეფიაშვილი (ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა), ნ. ლობჟანიძე (ქ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ინგლისური ენის მასწავლებლები ლ. მარგველაშვილი (ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა), ნ. იაკობაშვილი, დ. ფაჩუაშვილი (ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა), თ. გელაშვილი, ც. მჭედლიშვილი (სიღნაღის რაიონის წნორისა და ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლები); გერმანული ენის მასწავლებლები ც. ჭიღიტაშვილი (სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლა), და ლ. დარაშვილი (სიღნაღის სკოლა-ინტერნატი). ეს მასწავლებლები გაკვეთილს ძირითადად უცხო ენაზე ატარებენ. გაკვეთილის პროცესში ფართოდ იყენებენ დიალოგებს, ურთიერთშეკითხვებსა და თვალსაჩინო მასალებს, სათანადო ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას; მათი მოსწავლეები კარგად კითხულობენ, დამოუკიდებლად შეუძლიათ კითხვითი წინადადებების აგება და მათზე პასუხის გაცემა, საუბარი საყოფაცხოვრებო თემებზე და სხვ. მათ შეგნებულად იციან შესასწავლი გრამატიკული მასალა, გამომუშავებული აქვთ ლამაზი კალიგრაფია.

ფრანგული ენის მასწავლებელმა ნ. ლობჟანიძემ (გურჯაანის საშუალო სკოლა) V^{4} კლასში მეთოდურად გამართული, საინტერესო გაკვეთილი ჩაატარა; გაკვეთილზე იგი სათანადო ყურადღებას აქცევდა ცხვირისმიერი, ღია და დახურული ბგერების გამოთქმას, კარგად ახსნა და განამტკიცა ტექსტის ახალი სიტყვები, ამის შედეგად მოსწავლეებს არ გასჭირვებიათ მასწავლებლის დახმარების გარეშე ახალი მასალის თარგმნა; მოსწავლეები სწორად კითხულობენ, ლამაზად წერენ როგორც დაფაზე, ისე რვეულებში, ერთმანეთს უსვამენ მარტივ კითხვებს და პასუხობენ მათზე, ზმნებს აუღლებენ წინადადებებში.

მონდომებით ემზადებიან გაკვეთილებისათვის და დამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ ფრანგული ენის მასწავლებლებს დ. კირვალიძეს, ლ. ქათამაძეს, ზ. ნაცვლიშვილს, შ. მოდებაძეს (გურჯაანის, სოფ. გურჯაანის და ჩუმლაყის საშუალო სკოლები), ი. ბეჭულაძეს (გურჯაანის სკოლა-ინტერნატი); გერმანული ენის მასწავლებლებს მ. მისირიანს, ა. ვართანოვს (ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის საშუალო სკოლა); ინგლისური ენის მასწავლებლებს ე. ხელაშვილს, ლ. ქურდაშვილს, ლ. ნადაშვილს, მ. ნადირაშვილს, ც. შანშიაშვილს, ნ. სანიკიძეს (სიღნაღის, მაღაროს, ვაქირისა და წნორის საშუალო სკოლები), თ. თოფურიძეს, რ. მეძმარიაშვილს, ე. დევიძეს (ქუთაისის მე-2 და 25-ე საშუალო სკოლები).

მაგრამ სპეციალური განათლების მქონე უცხო ენების მასწავლებელთა ნაწილს, სუსტად ფლობს რა სალაპარაკო ენას, უჭირს მუშაობა, შებოჭილად გრძნობს თავს, გაკვეთილებზე იშვიათად მიმართავს უცხო ენაზე საუბარს და უხეშ ენობრივ შეცდომებს უშვებს, არასწორად გამოთქვამს ზოგ სიტყვებს. უცხო ენათა სუსტ ცოდნას იჩენენ ინგლისური ენის მასწავლებელი ნ. ბეიტრიშვილი (სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლები ლ. სავაძე, მ. მურადოვა (გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლა და გურჯაანის სკოლა-ინტერნატი), თ. ხელაძე (ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა). ამის შედეგად ისინი სათანადოდ ვერ მუშაობენ მოსწავლეების სიტყვათა მარაგის გამდიდრებაზე, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საკლასო-საშინაო და სიტყვარის რვეულების გასწორებას, გაკვეთილებს ატარებენ თვალსაჩინოების გარეშე; მათი მოსწავლეები გავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, არა აქვთ გამომუშავებული სწორი კითხვისა და გამოთქმის ჩვევები, არ უვარგათ წერითი ხელი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გერმანული ენის სწავლება ახალქალაქის სომხურ საშუალო და 8 წლიან სკოლებში, სადაც ამ საგანს არასპეციალისტები ს. პაპინიანი და ლ. აგაჯანოვა ასწავლიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მონდომებით მუშაობენ, მათ ენა არ იციან, გაკვეთილს ძირითადად დედაენაზე ატარებენ, კმაყოფილდებიან მხოლოდ კითხვით და თარგმნით. ზოგი გრამატიკული მოვლენა მათ თვითონაც არ ესმით, ამიტომ არ შეუძლიათ ეს მოვლენები ვასაგებად აუხსნან მოსწავლეებს. ამავე მიზეზით დასახელებულ მასწავლებლებს შეუმჩნეველი რჩებათ წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები.

ძალზე სუსტად ასწავლიან გერმანულ ენას ახალქალაქის რაიონის კულიკამის საშუალო და ხულგუმის 7-წლიან სკოლებში

არასპეციალისტები ო. პოღოსიანი, ო. ეგიაზაროვი; ისინი ცუდად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს.

ზოგიერთი სკოლების დირექტორები და სასწავლო-საგანგებო ნაწილის გამგეები თავს არიდებენ უცხო ენის გაკვეთილებზე დასწრებას, თუმცა მათ დამწყები მასწავლებლებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთო-მეთოდური მითითებებით.

არცერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის უცხო ენის კაბინეტი. ქუთაისის მე-3, მე-6 და მე-12 საშუალო სკოლებს გამოყოფილი აქვთ უცხო ენისათვის კლას-კაბინეტები, მაგრამ არ მოეპოვებათ საჭირო თვალსაჩინო მასალები (თემატიკური სურათები, ლოტო, ფონეტიკური, ორთოგრაფიული, გრამატიკული ტაბულები და სხვ.), სასკოლო ბიბლიოთეკებში სრულებით არ არის უცხო ენაზე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურა და ლექსიკონები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტები ყოველწლიურად საკმაოდ დიდი რაოდენობით უშვებენ უცხო ენის სპეციალისტებს, რესპუბლიკის რაიონების ბევრ სკოლაში უცხო ენა სულ არ ისწავლება. განსაკუთრებით ეხება ეს ერთკომპლექტიან რვაწლიან სკოლებს, სადაც, საათების სიმცირის გამო, ვერ ხერხდება მასწავლებლის სრული დატვირთვა. ამავე დროს განათლების ადგილობრივი ორგანოები არ უქმნიან სათანადო პირობებს ახლადდანიშნულ სპეციალისტებს ადგილებზე მათი დამაგრების მიზნით, რის გამო, არის შემთხვევები, როდესაც რაიონში ჩასული მასწავლებელი ტოვებს სამუშაოს და უკან ბრუნდება.

სპეციალური განათლების მქონე უცხო ენების მასწავლებელთა კადრებით სკოლების უზრუნველყოფის მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ახალქალაქის რაიონში. საშუალო სკოლის უცხო ენის 42 მასწავლებლიდან მხოლოდ 11-ს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება, რაც შეეხება 8 წლიან სკოლებს, მათში, როგორც წესი, ან არასპეციალისტები მუშაობენ ან სულ არ ისწავლება უცხო ენა. ამ რაიონში უცხო ენის სწავლების თანაფარდობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ახალქალაქის რუსული და სომხური სკოლების გარდა, ყველა სკოლაში ისწავლება გერმანული ენა.

ახალქალაქის სომხურ საშუალო სკოლაში, სადაც ისწავლებოდა მხოლოდ ფრანგული და გერმანული ენები, მიმდინარე სასწავლო წელს განათლების განყოფილებამ განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე შემოიღო ინგლისური ენის სწავლებაც და ამ საგნის სწავლება მიანდო საშუალო განათლების მქონე რ. ფეშმალჯიანს, რომელმაც არ იცის უცხო ენა.

უცხო ენების სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვბრძანებ

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებში უცხო ენების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს. შტატგარეშე ინსპექტორების საშუალებით რეგულარულად შეისწავლონ სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობა და შემოწმების მასალები მოისმინონ განათლების საბჭოს სხდომებზე;

ბ) გადამჭრელი ღონისძიებები გაატარონ სკოლების სპეციალური განათლების მქონე უცხო ენების მასწავლებლებით დაკომპლექტებისათვის. იზრუნონ უცხო ენების ახლადდანიშნულ მასწავლებელთა ადგილებზე დამაგრების მიზნით მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

2. უცხო ენების მასწავლებლებმა თავიანთი ყოველდღიური მუშაობა გარდაქმნან სკოლების წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესაბამისად: სისტემატურად იზრუნონ თავისი თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად; გაკვეთილები ჩაატარონ უცხო ენაზე; სათანადო ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და მათში ზეპირმეტყველების ჩვევების განვითარებას; სერიოზულად მოეკიდონ მოსწავლეებში კითხვის ტექნიკისა და სწორი გამოთქმების გამომუშავებას; ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინო მასალები; სისტემატურად და გულდასმით შეამოწმონ მოსწავლეთა საშინაო-საკლასო და სიტყვარის რვეულები; გაშალონ კლასგარეშე მუშაობა, მოაწყონ დილა-საღამოები, გართობა-თამაშობანი უცხო ენაზე და სხვ.

ინგლისური ენის მასწავლებელს ნ. ბერიტაშვილს (სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლებს ლ. სავაძეს, მ. მურადოვს (გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლა და გურჯაანის სკოლა-ინტერნატი), თ. ხელაძეს (ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა) საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის მიეთითოთ.

4. ახალქალაქის სომხური საშუალო და რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებლები ს. პაპინიანი და ლ. აგაჯანოვა, როგორც არასპეციალისტები დატოვებულ იქნან სკოლებში მხოლოდ დროებით, სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლების დანიშვნამდე და გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ სერიოზულ ზრუნვას არ გამოიჩენენ გერმანულ ენაში ცოდნის გაღრმავებაზე, მათ მიმართ მიღებული იქნება ადმინისტრაციული ზომები.

5. ო. პოღოსიანს, ო. ეგიაზაროვს (ახალქალაქის რაიონის კულიკამის საშუალო და ხულგუმის 7 წლიანი სკოლები), ოთხ-ორ-ც არასპეციალისტებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლებას, ჩამოერთვათ გერმანული ენის საათები 1962 წლის სექტემბრიდან.

6. ახალქალაქის სომხურ საშუალო სკოლაში მომავალი, 1962-1963 სასწავლო წლიდან გაუქმდეს ინგლისური ენის სწავლება.

7. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა ქმედითი დახმარება და კონტროლი გაუწიონ უცხო ენის მასწავლებლებს ყოველდღიურ მუშაობაში; მოაწყონ სკოლებში კლასკაბინეტები უცხო ენაში და მიიღონ ზომები მათი საჭირო თვალსაჩინო მასალებით აღჭურვისათვის; სისტემატურად იზრუნონ უცხო ენაზე საკითხავი ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებაზე.

8. ახალქალაქის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. კ. კარახანიანს განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე ახალქალაქის სომხური სკოლის V კლასში ინგლისური ენის შემოღებისათვის მიეთითოს.

9. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) საგამომცემლო გეგმაში ყოველწლიურად გაითვალისწინოს კლასგარეშე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურის გამოცემა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

10. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მოამარაგოს სკოლები თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით.

11. განმეორებით დაისვას საკითხი კულტურის სამინისტროს წინაშე, რათა ბიბლიოლექტორმა სისტემატურად დააკომპლექტოს სასკოლო ბიბლიოთეკები ლექსიკონებითა და უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით.

12. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის წინაშე, რათა შემოღებულ იქნეს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ზღაპრების, მოთხრობებისა და ლიტერატურული ნაწყვეტების რადიოგადაცემები უცხო ენებზე ორ კვირაში ერთხელ მაინც.

აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 16 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 22 მარტის ბრძანება ლაგოდეხის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ლაგოდეხის რაიონის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ ზოგი მათგანი მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს სკოლის წინაშე ამჟამად მდგარი ახალი ამოცანების განხორციელების მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაგოდეხის (დირექტორი კ. ქებაძე), ლელიანის (დირექტორი კ. სხირტლაძე) საშუალო სკოლების მუშაობა.

მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევიან დაწყებითი კლასების ქართული ენის მასწავლებლები ლაგოდეხის საშუალო სკოლიდან ნ. ნიკურაძე, დ. მამისაშვილი, ვარდისუბნის საშუალო სკოლიდან თ. ჩახნაშვილი, ნ. თაბუნიძე, ე. გოგოლაძე, აფენის საშუალო სკოლიდან დ. მანჩხაშვილი. ამ კლასების მოსწავლეები კითხულობენ გამართულად და სწორად, წერენ ლამაზად და სუფთად. კარგი მუშაობით გამოირჩევიან აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. დვალი, ნ. ბალიაშვილი, ქ. ოქროშიძე (ლაგოდეხის საშ. სკოლა). ქ. ბრეგვაძე (აფენის საშ. სკ.), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ჟ. ღვინიევი (ლაგოდეხის საშ. სკ.), ა. ზელინსკაია, მ. ცეცხლაძე (აფენის საშ. სკ.). გ. კაპანაძე (ვარდისუბნის საშ. სკ.); მათემატიკის მასწავლებლები რ. ხაჩიძე, ვ. ჯაფარიძე, ლ. კირვალიძე (ლაგოდეხის საშ. სკ.), ი. კალანდაძე (ვარდისუბნის საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლები ი. კალაძე (ლაგოდეხის საშ. სკ.), ნ. ვარდიაშვილი (ვარდისუბნის საშ. სკ.), ზ. ქერტყოევი (აფენის საშ. სკ.), ნ. ნიკოლეიშვილი (ბაისუბნის საშ. სკ.); ბიოლოგიის მასწავლებლები ვ. ხუციშვილი, გ. შუბითიძე (ლელიანის საშ. სკ.), მ. ხატიაშვილი (ლაგოდეხის საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლები კ. სხირტლაძე, მ. ცერცვაძე (ლელიანის საშ. სკოლა), მ. შუბითიძე, ფ. ლობჟანიძე (ლაგოდეხის საშ. სკოლა); გეოგრა-

ფიის მასწავლებლები კ. ქებაძე (ლაგოდეხის საშ. სკ.), რ. ...ავარიძე (ბაისუბნის საშ. სკოლა).

რაიონის ზოგიერთი სკოლა პასუხისმგებლობით ...ასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოვლას. კარგადაა მოვლილი ...ნის საშუალო სკოლის სასწავლო საცდელი ნაკვეთი, მოწყობილია კვალსათბურები, დათესილია საშემოდგომო კულტურები; ხეხილის ბაღში ნიადაგი დამუშავებულია, ხეების შტამბი შეთეთრებულია, გასხლულია, შეტანილია ორგანული სასუქები; გასულ წელს ნაკვეთიდან სკოლამ 1600 მანეთის შემოსავალი მიიღო.

მიუხედავად ამისა ლაგოდეხის რაიონის სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია: დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი, კერძოდ, ე. ჩუბინიძე, რ. დევიძე (ბაისუბნის საშ. სკ.), მ. გურგენიძე, ქ. ბრეგვაძე (აფენის საშ. სკოლა) არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მოსწავლენი წერენ უსუფთაოდ და ულამაზოდ, უშვებენ ენობრივ შეცდომებს, მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული სწორი, გამართული კითხვის ჩვევები.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. ზოგი მასწავლებელი ქართული ენის გრამატიკას ასწავლის ზეპირსიტყვიერად, ცოცხალი ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით, საკმაო ყურადღებას არ აქცევს ნაწარმოების იდეური შინაარსის, მხატვრული მხარის, ენის, ლექსიკის შესწავლას, ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობას, გულგრილად ასწორებს წერით ნამუშევრებს და არასაკმაო რაოდენობით ატარებს ვარჯიშს მოსწავლეთა ნაწერებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე; ამის შედეგად მოსწავლეებს არ აქვთ დამოუკიდებელი წერის ჩვევები, ისინი მწერლის შემოქმედებაზე მსჯელობისას გვერდს უვლიან ნაწარმოების კონკრეტულ შინაარსს და კმაყოფილდებიან კრიტიკული წერილებიდან ამოღებული ფრაზებით, უშვებენ ენობრივი ხასიათის მრავალ შეცდომას განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს დედა ენასა და ლიტერატურაში დამამთავრებელი X და XI კლასების მოსწავლეებმა. მაგ., ნინიგორის საშუალო სკოლის (მასწ. შ. რეხვიაშვილი) X კლასის 6 მოსწავლიდან საკონტროლო წერით ნამუშევრებში შეფასება „1“ მიღო 4-მა, „2“ 1-მა მოსწავლემ; ლელიანის საშუალო სკოლის (მასწავლებლები: ე. ცინცაძე, ე. სხირტლაძე) 24 მოსწავლიდან საკონტროლო წერა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა 10-მა მოსწავლემ; ბაისუბნის საშუალო სკოლის (მასწავლებელი თ. ღუღუნიშვილი) IX კლასის 12 მოსწავლიდან საკონტროლო წერითი ნამუშევარი არადამაკმაყოფილებლად შეასრულა 9 მოსწავლემ; ვარდისუბნის საშუალო

სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა გ. ნოზაძემ X კლასში 19 მოსწავლესთან ჩაატარა საკონტროლო წერა და მხოლოდ ექვსი შეაფასა არადამაკმაყოფილებელი ნიშნით, ფაქტიურად კი არადამაკმაყოფილებელ ნიშანს იმსახურებს 12 მოსწავლის წერითი ნამუშევარი.

ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება. სუსტად ფლობენ ენას და საგნის სწავლების მეთოდებს მასწავლებლები ე. მათიაშვილი, უ. გელაშვილი (ბაისუბნის საშ. სკ.), ე. მაისურაძე (ვარდისუბნის საშ. სკ.) და ვერ ასწორებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. ამასთან რუსული ენის მასწავლებლები დ. ლეკრიანი (ლაგოდეხის საშ. სკ.), გ. მჭედლიშვილი (აფენის საშ. სკ.) მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებენ და არ ასწორებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; სრულიად არ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერით ნამუშევრებს ს. ნოზაძე (აფენის საშ. სკოლა), ვ. ბოკერია, თ. აბულაშვილი, მ. სარალიძე (ვარდისუბნის საშ. სკ.).

ძალზე მძიმე მდგომარეობაა რუსული ენის სწავლების მხრივ არაშფერანის ოსურ რეორგანიზებულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯიოევი). ამ სკოლაში I—IV კლასები მეცადინეობენ ოსურ ენაზე, ხოლო მეხუთე კლასიდან მეცადინეობა სწარმოებს რუსულ ენაზე. იმის გამო, რომ რუსული ენის სწავლება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და ამასთან ცალკეული საგნების მასწავლებლებმა სუსტად იციან რუსული ენა, მოსწავლეებს ძალზე უჭირთ ამ ენაზე სასწავლო საგნების დაუფლება.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება ნინიგორის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები შ. ფოჩხაძე, გ. კოზაევი); ამ სკოლის ქართული და რუსული სექტორის X კლასების მოსწავლეებს შედარებით იოლი მაგალითებისა და ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნის ცოდნა-ჩვევებიც კი არ გააჩნიათ. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ლელიანისა (მასწავლებლები გ. კობერიძე, ს. ჭუმბურიძე) და აფენის (მასწავლებელი ა. შუბითიძე) საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება აქვთ ფიზიკაში ნინიგორის (მასწ. მ. ნარიშელაშვილი), ვარდისუბნის (მასწ. ს. სააკოვი) საშუალო სკოლების მოსწავლეებს. ვარდისუბნისა და ბაისუბნის საშუალო სკოლებში არაა მოწყობილი ფიზიკის კაბინეტები.

ძალზე დაბალია ქიმიის სწავლების დონე არაშფერანის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი პ. ფუხაევი ვერ ფლობს საშუალო

წარმოოსწავლებიან საშუალო სკოლას ჰქონდეს ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობები;

ბ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ საწარმოოსწავლებიანი სკოლების მუშაობის დაგეგმვის, პროფილების შერჩევისა და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის საკითხებს;

გ) შეამოწმონ რაიონის საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებით უზრუნველყოფა და გაატარონ ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

დ) სასწავლო ნაწილის გამგეებად საწარმოო სწავლების დარგში შეარჩიონ სპეციალური განათლების მქონე გამოცდილი მუშაკები და დახმარება გაუწიონ მათ პედაგოგიური დახელოვნების საქმეში;

ე) განათლების განყოფილებებისა და რაიონის პედაგოგიური კაბინეტების სამუშაო გეგმებში სისტემატურად გაითვალისწინონ არაპედაგოგიური განათლების მქონე და დამწყებ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების ღონისძიებანი;

ვ) უახლოეს დროში შეამოწმონ საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების მუშაობა და შემოწმების მასალები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. მიაღწიონ იმას, რომ სხდომებზე მიღებული ღონისძიებები დროულად და სრულად იქნეს განხორციელებული.

ზ) საწარმოოსწავლებიან სკოლებამდე დროულად დაიყვანონ მოქმედი პროგრამები, არ დაუშვან სკოლის პროფილის შეცვლა აუცილებელი საჭიროებისა და სათანადო ნებართვის გარეშე;

თ) 1962—1963 სასწავლო წლის გეგმით საწარმოო სწავლებაზე გადასაყვანი სკოლებისათვის პროფილების შერჩევისას მხედველობაში მიიღონ მოსწავლეების, მათი მშობლების სურვილი და ადგილობრივი მოთხოვნილებანი კვალიფიცირებულ მუშახელზე, ამასთან, გაითვალისწინონ საწარმოო სწავლების დარგში არსებული გამოცდილება; წინასწარ შექმნან სათანადო პირობები საწარმოო სწავლებაზე ახლად გადასაყვანი სკოლების ნორმალური მუშაობისათვის;

ი) უზრუნველყონ მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო იარაღებითა და მწარმოებლური შრომის პროცესში სპეცტანსაცმელით.

2. საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა საწარმოო სწავლების დარგში:

ა) საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნიონ შესაფერისი საწარმოო

ბაზის გამოყოფა, მისი კეთილმოწყობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება; როგორც წესი, მოსწავლეების პრაქტიკული მუშაობა და მწარმოებლური შრომა ჩაატარონ გეგმის მიხედვით, მუშაობისა და რობების წინასწარი გათვალისწინებით; სისტემატურად იზრუნონ იმაზე, რომ საწარმოო სწავლებამ აამაღლოს სკოლაში სასწავლოაღმზრდელობითი მუშაობის საერთო დონე;

ბ) საწარმოო ბაზების გამოყოფის, დაგეგმვისა და მათი კეთილმოწყობის საკითხებზე მჭიდრო კავშირი დაამყარონ წარმოებებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებთან. სისტემატურად დააყენონ საქმის კურსში რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები და მიაღწიონ იმას, რომ საწარმოო ბაზებით სკოლების უზრუნველყოფის საკითხებზე დირექტორთან ერთად პასუხისმგებლობას გრინობდნენ საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელები;

გ) ისე დაგეგმონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, რომ მასწავლებლებმა აქ ჩაატარონ სკოლის პროფილის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებისა და სპეციალური მომზადების პრაქტიკული ხასიათის ძირითადი საცდელი სამუშაოები;

დ) სკოლის პროფილის მიხედვით მოაწყონ კაბინეტი ან კლასკაბინეტი და სისტემატურად იზრუნონ ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებისათვის აუცილებელი სხვა მასალებით მათ გამდიდრებაზე;

ე) მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დამწყებ სპეციალისტ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების საქმეს; განახორციელონ მათ მუშაობაზე სისტემატური ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი.

ვ) საწარმოო სწავლების გაკვეთილებთან ერთად სისტემატურად შეამოწმონ პრაქტიკული მუშაობისა და მწარმოებლური შრომის პროცესი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საცდელი მუშაობის და პრაქტიკული შრომის სწორად ორგანიზების საქმეს;

ზ) პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიების ჩატარება უზრუნველყონ წინასწარი გეგმის მიხედვით, ხოლო შედეგები სისტემატურად შეაჯამონ და განაზოგადონ;

თ) იზრუნონ ნორჩ-ტექნიკოსთა და ნორჩ-ნატურალისტთა წრეების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, წრეების სამუშაო გეგმებში განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ საცდელი მუშაობისა და მისი აღრიცხვის წარმოების საკითხებს.

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ორი სპეციალობის მქონე ან ორ ქვეჯგუფად გაყოფილი კლასების მიერ როგორც

თეორიული კურსის, ისე საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პროცესში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის საკითხებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პროცესში მოსწავლეთა მიერ წარმოებული პროდუქციიდან შეარჩიონ საუკეთესო ექსპონატები და დაიმსახურონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობის უფლება.

3. საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის მასწავლებლებმა:

ა) ისე მოაწყონ თეორიული კურსის სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და მწარმოებლური შრომა, რომ ამ საქმიანობის ყოველი ეტაპი წარმოადგენდეს წინა ეტაპის გაგრძელებას, შევსებასა და მეთოდურად გამართლებულ ღონისძიებას.

ბ) სკოლის პროფილის მიხედვით სპეციალური კურსისა და შრომითი პოლიტექნიკური საგნების მასწავლებლებმა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით და გამოცდილების გაზიარებით უზრუნველყონ საწარმოო სწავლებისა და საერთოდ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახიამ) შეადგინოს და კოლეგიას განსახილველად წარმოუდგინოს მითითებანი:

ა) ორი სხვადასხვა სპეციალობისა და 25 მოსწავლეზე მეტ კონტინგენტიან კლასების გაკვეთილების ცხრილსა და ჟურნალში საწარმოო (თეორიული და პრაქტიკული) სწავლების საგნების გათვალისწინებისა და აღრიცხვის წესის შესახებ;

ბ) საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის გეგმა-განრიგის შედგენის შესახებ.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) საწარმოოსწავლებიანი სკოლების მუშაკთათვის საკურსო ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს კასპისა და ქარელის რაიონების სკოლების მუშაკთა გადამზადებაც.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა განიხილონ აღნიშნული ბრძანება კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და

გაატარონ სათანადო ღონისძიებანი საწარმოო სწავლების შემდგომ-
მი გაუმჯობესების მიზნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1962 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 31 იანვრის ბრძანება 1960/61 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროს განკარგულებაში არსებული მასალებით დასტურდება, რომ 1960/61 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩარიცხული იქნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—517, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—569, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—407 აბიტურიენტი. კარგი მომზადება გამოამჟღავნეს ქალაქების თბილისის, ქუთაისის ფოთის, ჭიათურის და თელავის, გურჯაანის, სამტრედიის, ზუგდიდის, მახარაძის და ზოგიერთი სხვა რაიონის ცალკეული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად ამისა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გვიჩვენეს, რომ სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებლების ერთი ნაწილი საჭირო გულმოდგინებას არ იჩენს საქმისადმი, ფორმალურად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას და არ წარმართავს მუშაობას იმგვარად, რომ გამოუმუშაოს მოსწავლეებს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩვევა და აღზარდოს მათში ცოდნისადმი სიყვარული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. გამოცდებმა დაადასტურეს ისიც, რომ მრავალ სკოლაში დაუშვებელ ლიბერალიზმს იჩენენ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მასწავლებლის მიერ ნიშნების ხელოვნურად აწევის შემთხვევებს, რაც აქვეითებს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობას საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნის შეძენისადმი.

1960/61 სასწავლო წელს კურსდამთავრებულთაგან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: მათემატიკაში (წერა) 700-დან 380-მა, მა-

თემატიკაში (ზეპირი) 419-დან 160-მა, ფიზიკაში—680-დან 141-მა, ქიმიაში—216-დან—87-მა აბიტურიენტმა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ქართულ ლიტერატურაში 615-დან—55, მათემატიკაში (წერა, ზეპირი) 259-დან—94, ფიზიკაში 267-დან—93, ქიმიაში—165-დან—46, უცხო ენაში—181-დან—60 აბიტურიენტმა; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—მათემატიკაში 219-დან 53 აბიტურიენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარად არის შესამჩნევი ქართულ ლიტერატურაში საშუალო სკოლის ბევრი კურსდამთავრებულის მიერ გამოჩენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებთა შინაარსის ზერელე ცოდნა, რაც იმის შედეგიცაა, რომ ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა არასწორად გაიგო სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდებისას ქართულ ლიტერატურაში ზეპირი გამოცდების გაუქმების აზრი, და თავს არიდებს ლიტერატურული ძეგლების სრულყოფილი შესწავლისათვის საჭირო გულმოდგინე, ბეჯით მუშაობას. ამასთან, დადასტურებულია, რომ ზოგიერთი სკოლის საგამოცდო კომისიამ ძალზე ცუდად იმუშავა, მისცა მოსწავლეებს „შპარგალკებით" სარგებლობის საშუალება და დაუმსახურებლად შეაფასა ისინი მაღალი ნიშნებით. ეს ბუნებრივ შედეგად იწვევს იმას, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი დამოუკიდებლად აღარ მუშაობს და თემების გადაწერით კმაყოფილდება, ხოლო სკოლა ამ მავნე პრაქტიკას ურიგდება. კურსდამთავრებულთა წერითი ნამუშევრებიდან ჩანს, რომ ბევრ მათგანს არ შესწევს უნარი მოახდინოს ლიტერატურული ნაწარმოებების კონკრეტული ანალიზი, სათანადოდ ვერ ერკვევა ლიტერატურული ძეგლების ესთეტიკურ ღირსებასა და იდეურ მიმართულებაში და უშვებს უხეშ სტილისტურ, მორფოლოგიურ, პუნქტუაციურ და სხვა სახის შეცდომებს.

განსაკუთრებით სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში ოქროს მედალოსნებმა: ო. მ. ჯანიაშვილმა (ქ. თბილისის 85 ე საშ. სკოლა, დირექტორი კ. შარაშიძე, მასწავლებელი ნ. გაბათაშვილი); ვერცხლის მედალოსანმა ს. ხანჯალაძემ (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ყანდაურის საშ. სკოლა, დირექტორი ლ. გულიაშვილი, მასწავლებელი ქ. ფეიქრიშვილი); ხუთოსანმა ი. ს. შენგელაიამ (სამტრედიის რაიონი, ღანირის საშ. სკოლა, დირექტორი მ. ჯიბლაძე, მასწ. ვ. მეგრელიშვილი), ი. ბერიამ და ვ. კობიაშვილმა (ქ. თბილისი, მე-4 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ქურიძე, მასწ. რ. კორძახია).

აბიტურიენტთა ერთმა ნაწილმა მათემატიკაში წერით გამოცდაზე მიცემული ერთი ამოცანიდან და ორი მაგალითიდან

ვერც ერთი ვერ ამოხსნა და მუშაობის პროცესში მათემატიკის ელემენტარული საკითხების, უცოდინარობა გამოამჟღავნა. ვერ შეადგინა ამოცანის პირობის მიხედვით განტოლება, ვერ შეასრულა ალგებრულ გამოსახულებათა გამარტივება, არ იცოდა ტრიგონომეტრიის ძირითადი ფორმულები, უჭირდა ტრიგონომეტრიული განტოლებების შედგენა და ამოხსნა, ვერ ერკვეოდა არგუმენტისა და ფუნქციის მნიშვნელობაში და სხვ. დავსძენ, რომ მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე მათემატიკაში მნიშვნელოვნად აიხსნება მათემატიკის მოსწავლეებისადმი მომთხოვნელობის შესუსტებით, აგრეთვე, იმითაც, რომ უკვე ხუთი წელია, რაც საშუალო სკოლაში წერითი გამოცდები აღარ ტარდება და მასწავლებლებმა შეასუსტეს მუშაობა მოსწავლეებთან სათანადო სიძნელის ამოცანების ამოხსნაზე.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ოქროს მედალოსნებმა რ. თოდუამ (ვანის საშ. სკ. დირექტორი ა. ნადირაძე, მასწავლებელი ი. კორძაძე), ნ. ბასილაიამ (ხობის რაიონი, ახალი ხიბულის საშ. სკ. დირექტორი ვ. ჭითანავა, მასწ. მ. ბასილაია), გ. ჯღარკავამ (გეგეჭკორის რაიონი, აბედათის საშ. სკ. დირექტორი ი. ცანავა, მასწ. გ. კოკაია), თ. ბერუჩაშვილმა (ქ. თბილისის 50-ე საშ. სკ. დირექტორი ს. ჟანო, მასწავლებელი ნ. სემაშვილი); ვერცხლის მედალოსნებმა ლ. ქირთიბაიამ (ხობის რაიონი, შუა ქვალონის საშ. სკ. დირექტორი დ. ახალაია, მასწავლებელი დ. ბუკია), ბ. კორძაიამ (ქ. ხაშურის პირველი საშუალო სკოლა, დირექტორი თ. ცინცაბაძე, მასწავლებელი მ. აბრამიშვილი), თ. გაგოშიძემ (ამბროლაურის რაიონი, ჭრებალოს საშ. სკ. სასწავლო ნაწილის გამგე ს. კიკვიძე, მასწავლებელი ი. წერეთელი), პ. კაკონაშვილმა (ყვარლის რაიონი, შილდის საშ. სკ. დირექტორი და მასწავლებელი გ. მჭედლიშვილი), დ. დარსალიამ (ჩხოროწყუს რაიონი, ნაფიჩხოუს საშ. სკოლის დირექტორი და მასწავლებელი დ. ცქვიტაია); ხუთოსნებმა კ. სიმონიანმა და ა. ლებანიძემ (ქ. თბილისის 84-ე საშ. სკოლა, დირექტორი პ. შუბითიძე, მასწ. ე. სულავა), დ. გურულმა (ჭიათურა), ხალიფაურის საშ. სკ. დირექტორი მ. გაფრინდაშვილი, მასწავლებელი ა. მიროტაძე), ბ. კიკოზაშვილმა (საჩხერის მეორე საშუალო სკოლა, დირექტორი თ. მელაძე, მასწავლებელი ე. ტყემალაძე), ბ. კოპალეიშვილმა (სამტრედიის რაიონი, საჯავახოს საშ. სკ. დირექტორი ლ. გეგეშიძე, მასწავლებელი ა. ბიბილეიშვილი), ვ. ნანობაშვილმა (სიღნაღის რაიონი, ვაქირის საშ. სკოლა, დირექტორი ქ. ვარაზაშვილი, მასწავლებელი ი. იასეშვილი), თ. ადეიშვილმა (ვანის სა-

შუალო სკოლა), ზ. კიკნაძემ და ბ. გამყრელიძემ (თბილისის მესამე საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ნოზაძე, მასწავლებელი ს. ობოლაძე), თ. ყორიაულმა (თიანეთის რაიონი, ნაქალაქარის საშ. სკოლა, დირექტორი მ. ზურაბიშვილი, მასწავლებელი მ. აფციაური), ნ. მეცხვარიშვილმა და ნ. აბრამიშვილმა (საჩხერის პირველი საშ. სკოლა, მასწავლებელი ლ. ადამია), ვ. მუჩიაშვილმა (საგარეჯოს რაიონი, პატარძეულის საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ლომსიანიძე, მასწავლებელი ი. გვილავა), ვ. ხეჩიაშვილმა (ყვარლის რაიონი, ჭიკაანის საშ. სკოლა, დირექტორი ა. ბეჟანიშვილი, მასწავლებელი გ. ხარაზიშვილი).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს რუსულ ენაში ხუთოსნებმა მ. ელიშვილმა (მცხეთის რაიონი, წილკნის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მჭედლიშვილი, მასწავლებელი კ. პოპოვი), ზ. ცხადაიამ (ხობის რაიონი, ნოჯიხევის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ლიპარტია, მასწავლებელი ა. გერგაია).

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქიმიაში ვერცხლის მედალოსნებმა ნ. ნასრაშვილმა (წითელწყაროს რაიონი, ზემო მაჩხაანის საშ. სკ. დირექტორი ვ. ჯამასპაშვილი. მასწ. ნ. ზურაბიშვილი), ლ. ცხვარაძემ (ვანის საშ. სკ. მასწავლებელი მ. ხაბეიშვილი), ო. ბაგატუროვამ (ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-12 საშ. სკ. დირექტორი რ. მუსერიძე, მასწავლებელი შ. ჭავჭანიძე), ნ. ხომიზურმა (გორის რაიონი, მეჯვრისხევის საშ. სკ. დირექტორი ლ. გურგენიძე, მასწ. მ. ჩიტიშვილი).

ვთვლი რა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ასეთ დაბალ აკადემიურ მომზადებას მოუთმენელი ლიბერალიზმისა და უპასუხისმგებლობის გამოვლინებად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ,

1. გაუქმდეს შესაბამისი საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს დადგენილებები ო. ჯანიაშვილის, ხანჯალაძის, რ. თოდუას, ნ. ბასილაიას, გ. ჯღარკავას, თ. ბერუჩაშვილის, ლ. ქირთიბაიას, ბ. კორძაიას, თ. გაგოშიძის, პ. კაკონაშვილის, დ. დარსალიას მედლებით დაჯილდოების შესახებ; საშუალო სკოლების ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულებს მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის სიმწიფის ატესტატები.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ა/წლის 10 თებერვლამდე უზრუნველჰყონ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემული ოქროსა და ვერცხლის მედლის ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ

ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატის მიღება და გაცემა;

ბ) დასახელებულ სკოლებში საფუძვლიანად შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დასახონ და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა მომზადების დონის ობიექტურად გაუმჯობესებისათვის და სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ მათ მიერ დასახული ღონისძიებების შემოწმება; სათანადო წესის დაცვით, დააყენონ საკითხი იმ სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას. ამ მხრივ გატარებული ღონისძიებების შესახებ განათლების სამინისტროს პირველი ივლისისათვის წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათი.

3. ეს ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საქმიანი ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის. კერძოდ მიღწეულ იქნეს ის, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებლები განუხრელად ხელმძღვანელობდნენ თავიანთ მუშაობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 17 მაისის № 324 და 29 ივნისის № 490 ბრძანებებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკური დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

4. სკოლების სამმართველომ საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მიავლინოს სასკოლო ინსპექტორები ამ ბრძანებაში აღნიშნულ სკოლებში გამოცდების მიმდინარეობაზე სათანადო კონტროლის დასაწესებლად.

5. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 17 თებერვლის ბრძანება ხაშურის, მცხეთის, ჩოხატაურის, კასპის, ცაგერის რაიონებსა და ქ. ბათუმში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისია დამაკმაყოფილებლად მუშაობს. მეურვეობის, პატრონირებისა და გაშვილების საკითხებზე განათლების განყოფილებას გაპიროვნებული ჰყავს ქალაქის პედაგოგიური კაბინეტის გამგე; წესიერად წარმოებს აღრიცხვის ჟურნალი, თითოეულ ბავშვზე შედგენილია პირადი საქმე, ყველა საჭირო დოკუმენტით, სისტემატურად მოწმდება მეურვეობაზე, პატრონატზე გადაცემულ და გაშვილებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები; პატრონირებულ ბავშვებსა და მოზარდებს ფულადი დახმარება ეძლევათ დაწესებულ ვადებში.

ამასთან ერთად, ზოგიერთი განათლების განყოფილება სათანადო პასუხისმგებლობით ვერ ეკიდება მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობის საქმეს. ჩოხატაურისა და მცხეთის რაიონებში დარღვეულია პატრონირებულ ბავშვებზე და მოზარდებზე ფულადი დახმარების გაცემის დადგენილი წესი—ბავშვებს დახმარება ეძლევათ არა ყოველი თვის ბოლოს, არამედ კვარტალში ერთხელ. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილებას არა ჰყავს აღრიცხული უდედმამო, უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვები და ხელმოკლე ოჯახის შვილები, რის გამოც 1961 წელში მეურვეობაზე და პატრონატზე არცერთი ბავშვი არაა აყვანილი. ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებას არა აქვს აღრიცხული მეურვეობაზე და პატრონატზე აყვანილი ბავშვების მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობა.

კასპის რაისაბჭოს განათლების განყოფილებას არასწორად ჰყავს გაპიროვნებული მეურვეობისა და პატრონატის საკითხებზე ბუხჰალტერი, ხოლო გაშვილებაზე—ინსპექტორი.

ცაგერის რაიონში არ სრულდება პატრონატზე აყვანილ ბავშვთა და მოზარდთა წლიური გეგმა. გეგმით პატრონატზე აყვანილი უნდა ყოფილიყო 40 ბავშვი, ფაქტიურად აყვანილია 27. განათლების განყოფილება იშვიათად ამოწმებს მეურვეობაზე, პატრონატზე მყოფ და გაშვილებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

ზოგიერთი განათლების განყოფილება უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში და არასწორად შევსებულ სტატისტიკურ მასალებს (ფორმა № 103) აგზავნის განათლების სამინისტროში.

ხაშურის, ჩოხატაურის, ახმეტის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ტყიბულის, წულუკიძის, წალკისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა სტატისტიკური მასალები „მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის შესახებ“ (ფორმა № 103) დიდი დაგვიანებითა და არასწორად შევსებული წარმოადგინეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ,

1. დაევალოს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე უდედმამო, მეურვეობაში მყოფი და გაშვილებული ბავშვები და შეადგინონ თითოეულ ბავშვზე პირადი საქმე;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ადგილებზე მათი საყოფაცხოვრებო პირობები და მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) მეურვეობა, პატრონატი და გაშვილება გააფორმონ თანახმად არსებული ინსტრუქციისა;

დ) პატრონირებულ ბავშვთა კუთვნილი ფულადი დახმარება ინსტრუქციის შესაბამისად ყოველთვიურად გასცენ პატრონატზე ამყვან პირებზე და მკაცრი კონტროლი დააწესონ ამ თანხის დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

ე) სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმება და საკითხი განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე;

ვ) სკოლის დირექტორების (გამგეების) საშუალებით შეაგროვონ ცნობები მშობელთა მზრუნველობის გარეშე, უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვებისა, და ხელმოკლე ოჯახის შვილების შესახებ და იზრუნონ სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო

სახლებსა და მშრომელთა ოჯახებში მათი მოწყობისათვის:

ზ) განათლების განყოფილების ინსპექტორებიდან ერთ-ერთი გააპიროვნონ აატრონატის, მეურვეობისა და გაშვილების საკითხებზე.

2. მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის საქმისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის გაფრთხილებულ იქნან მცხეთის, ჩოხატაურის, კასპისა და ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები.

3. აღინიშნოს, რომ ხაშურის, ახმეტის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ტყიბულის, წულუკიძისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გამოიჩინეს უპასუხისმგებლობა ამ საქმისადმი, ფორმა № 103-ის განათლების სამინისტროში დაგვიანებით წარმოდგენით.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1962 წლის 16 თებერვლის

ყრუმუნჯ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. სკოლა-ინტერნატის მიზნები და ამოცანები

1. ყრუმუნჯ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატი ახორციელებს იმ ბავშვთა და მოზარდთა (ქალებისა და ვაჟების) სავალდებულო და ერთად სწავლებას, რომლებსაც სმენის დარღვევისა და მეტყველების უნარის უქონლობის გამო ესაჭიროებათ სპეციალური სწავლება.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატი ბავშვებსა და მოზარდებს უვითარებს ზეპირ მეტყველებას, აძლევს ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკურ ცოდნას, ზრდის მათში შრომისადმი სიყვარულს, ახორციელებს ამ ბავშვთა ზნეობრივ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას და ამზადებს მათ ჩვენი საზოგადოების სასარგებლო ადამიანებად.

განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებს, მუშაობენ რა ისინი წარმოებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამავე დროს შეუძლიათ განაგრძონ სწავლა საღამოს (ცვლიან) სკოლებში, აგრეთვე სპეციალურ დაუსწრებელ საშუალო სკოლებში ან ტექნიკუმებსა და სხვა პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში.

II. სკოლის ორგანიზაცია და სტრუქტურა

2. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ხსნის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და იგი მის უშუალო გამგებლობაში იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე. რაიონის (ქალაქის) განათლე-

ბის განყოფილება ვალდებულია ამ დაწესებულებებს აღმოუჩინოს ყოველდღიური დმხმარება სასწავლო-აღმზრდელობითი და საორგანიზაციო-სამეურნეო საქმიანობის სწორად მოწესრიგებაში.

3. განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატი ორი ძირითადი ტიპისაა:

ა) ყრუ ბავშვთა რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი სკოლა-ინტერნატი, რომელსაც აქვს რვა კლასი I-დან VIII-ის ჩათვლით (თუ სახეზეა მოსწავლეთა საკმაო რაოდენობა, შეიძლება გაიხსნას პარალელური კლასები);

რვაწლიან სკოლაში სწავლობენ მოზარდები 7-დან 16—17 წლამდე ჩათვლით; ისინი ეუფლებიან მეტყველებას, ღებულობენ ცოდნას ნორმალური მასობრივი სკოლის 5 კლასის პროგრამის ძირითადი მოთხოვნების ფარგლებში და ემზადებიან პროფესიის დაუფლებისათვის.

ბ) საწარმოოსწავლებიანი სკოლა-ინტერნატი IX, X, XI, XII კლასებით, სწავლების ოთხი წლის ვადით;

ამ ტიპის სკოლა-ინტერნატის ამოცანას შეადგენს მისცეს მოსწავლეებს ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური ცოდნა მასობრივი 8 წლიანი სკოლის ძირითადი მოთხოვნების ფარგლებში და პროფესიული მომზადება (სწავლების შეერთებით მწარმოებლურ შრომასთან) სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში სამუშაოდ.

საწარმოოსწავლებიანი სკოლა-ინტერნატი შეიძლება გაიხსნას როგორც ცალკე IX—XII კლასების შემადგენლობით, ისე რვაწლიან სკოლასთან ერთად—I—XII კლ. შემადგენლობით.

4. თუ მოცემულ რაიონში (ქალაქში) ცალკე არ არსებობს სპეციალური სკოლამდელი დაწესებულება, სკოლასთან შეიძლება დაარსდეს სკოლამდელი განყოფილება, სადაც ბავშვები ისწავლიან ორ წელს, ან გაიხსნება მოსამზადებელი კლასი; სკოლამდელი განყოფილება მომსახურებას უწევს 5—6 წლის ბავშვებს.

სკოლამდელ განყოფილებებში და მოსამზადებელ კლასებში მუშაობა ეწყობა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლამდელ დაწესებულებათა დებულების საფუძველზე.

5. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან 6 წლის ბავშვები. ამ კლასში მუშაობა ტარდება დღის სპეციალური განაწესით და სასწავლო გეგმით.

სკოლამდელი განყოფილებისა და მოსამზადებელი კლასის ამოცანაა ბავშვების მომზადება პირველ კლასში სწავლისათვის იმ

ბავშვებთან ერთად, რომლებიც მიღებული არიან სპეციალურ სკოლამდელი დაწესებულებებიდან.

6. სკოლა-ინტერნატებში, რომლებიც მომსახურებენ [illegible] სხვადასხვა დასახლებულ პუნქტს, შეიძლება სწავლობდნენ მომსვლელი ბავშვებიც—მშობლებთან მცხოვრებნი ან იმ ადგილებთან, რომლებსაც მშობლებმა ჩააბარეს თავისი შვილები. ასეთი ბავშვებისათვის სკოლასთან მოეწყობა გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, სადაც ბავშვებს ეძლევათ ცხელი საჭმელი მშობლების ხარჯზე.

7. მოსწავლეთა იმ ნაწილისათვის, რომელიც 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მწარმოებლურ შრომაში [illegible]ებმებიან, შეიძლება სკოლასთან მოეწყოს სასწავლო-საწარმოო კლასები სწავლების ერთი წლის ვადით. ეს კლასები მუშაობენ განსაკუთრებული სასწავლო გეგმით.

სასწავლო-საწარმოო კლასები შეიძლება მოეწყოს იმ რვაწლიან და საშუალო სკოლებთან, რომლებსაც გააჩნია სათანადო პირობები და ბაზა მოსწავლეთა [illegible]ერ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად.

სასწავლო-საწარმოო კლასების ამოცანაა – მისცეს მოსწავლეებს საწარმოო კვალიფიკაცია სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში [illegible]ოდ.

8. ამ კლასებში მოსწავლეები ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების გარეშე. თუ სხვა სკოლიდან მიღებული მოსწავლე არა [illegible]ად მომზადებული აღმოჩნდება, საწარმოო კლასის მქონე [illegible]ლას უფლება აქვს ასეთი მოსწავლე გარიცხოს ერთი თვის შემდეგ და შრომითი მოწყობისათვის დაუბრუნოს იმ სკოლას, სადაც ის სწავლობდა საწარმოო კლასში ჩარიცხვამდე.

9. ინტერნატში ბავშვების შენახვა უზრუნველყოფილია საბიუჯეტო ასიგნობებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

10. პასუხისმგებლობა ყრუმუნჯ ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის ეკისრება სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

11. სამრეწველო წარმოებანი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა დაწესებულებანი, რომლებიც ყრუმუნჯ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატების შეფები არიან, ამ სკოლებს ეხმარებიან კეთილმოწყობაში, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა შრომით მომზადებაში.

III. ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

12. სწავლება და აღზრდა ინტერნატში ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მისთვის დამტკიცებული სპეციალური სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

13. სასწავლო წლის ხანგრძლიობა და არდადეგების ვადები:

ა) სწავლა იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება:

მოსამზადებელსა და I—IV კლასებში—31 მაისს, V—VIII კლასებში—19 ივნისს, IX—XII კლასებში—25 ივნისს (გამოსაშვები კლასის გამოცდების ჩათვლით).

ბ) სასწავლო წელი იყოფა ოთხ მეოთხედად: პირველი მეოთხედი—1 სექტემბრიდან 4 ნოემბრამდე; მეორე მეოთხედი—10 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე; მესამე მეოთხედი—11 იანვრიდან 23 მარტამდე; მეოთხე მეოთხედი—1 აპრილიდან სასწავლო წლის დამთავრებამდე.

გ) სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთათვის წესდება არდადეგები, საშემოდგომო 5-დან 9 ნოემბრამდე (ჩათვლით), საზამთრო—30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე (ჩათვლით), საგაზაფხულო—24-დან 31 მარტამდე (ჩათვლით) და საზაფხულო—სასწავლო წლის დამთავრებიდან, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

14. მოსწავლეთა რაოდენობა კლასში განისაზღვრება 6—12 მოსწავლით.

პროფესიული და შრომითი მომზადებისათვის სამეცადინო ჯგუფი შედგება 5—8 კაცისაგან, როცა ჯგუფებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა (3—4 კაცი), ასეთი ჯგუფები ერთიანდება ისე, რომ ჯგუფში იყოს 5—8 კაცი. მოსწავლეთა რაოდენობა საალმზრდელო ჯგუფში განისაზღვრება 20—25 კაცით.

15. გავვეთილის ხანგრძლიობა II—XII კლასებში 45 წუთით განისაზღვრება. მოსამზადებელ და პირველ კლასში, თუ საამისო პირობებია, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით გაკვეთილის ხანგრძლიობა შეიძლება შემცირდეს 35 წუთამდე.

16. დასვენება გაკვეთილებს შორის—10 წუთია, გარდა დიდი დასვენებისა, მეორე და მესამე გაკვეთილის შემდეგ, რომლის ხანგრძლიობა არ უნდა იყოს 30 წუთზე ნაკლები. ადგილობრივი პირობების მიხედვით დიდი დასვენება შეიძლება მოეწყოს ორჯერ-მეორე და მესამე გაკვეთილის შემდეგ ოც-ოცი წუთის ხანგრძლიობით.

17. სკოლა-ინტერნატში სწავლა მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე.

18. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლა, პოლიტექნიკური და შრომითი სწავლება ინტერნატში ხორციელდება [illegible] რებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში და შეძლებისამებრ მოსწავლეთა მონაწილეობით სხვადასხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში.

19. სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელიც მასწავლებლის ხელმძღვანელობით ტარდება. საკლასო მეცადინეობასთან ერთად ფართოდ გამოიყენება ექსკურსიები, მეცადინეობა საველოსნოებსა და სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, სადაც ეწყობა მოსწავლეთა ბრიგადული, ჯგუფური, წრეობრივი და ინდივიდუალური მუშაობა.

ენის გავლენის სფეროს გაფართოებისა და ენის სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირების მიზნით ეწყობა სპეციალური მეცადინეობა მეტყველების გასავითარებლად, რისთვისაც გაკვეთილების გარდა გამოყენებული უნდა იქნას სკოლა-ინტერნატის პირობებში ბავშვთა მრავალფეროვანი საქმიანობა. ამ მეცადინეობას კლასთან ატარებს ენის მასწავლებელი განსაკუთრებული ცხრილით.

მეტყველების სწავლება ყრუ ბავშვთათვის ხორციელდება როგორც სპეციალურ გაკვეთილებზე, ისე ინდივიდუალური მეცადინეობით ცალკეულ ბავშვთან ან ბავშვთა ჯგუფთან.

სკოლა-ინტერნატში წესდება მეტყველების მტკიცე ენობრივი რეჟიმი; ურთიერთობის ძირითად საშუალებას მთელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში წარმოადგენს სიტყვების ენა ზეპირ, წერით და დაქტილურ ფორმებში.

მოსწავლეთა ცოდნა და უნარი ფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემით: 5 (ფრიადი), 4 (კარგი), 3 (დამაკმაყოფილებელი), 2 (ცუდი), 1 (ძალიან ცუდი).

20. მოსწავლეთა აღზრდას ახორციელებენ მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები და აღმზრდელები სწავლებისა და შრომითი საქმიანობის პროცესში, კლასგარეშე ღონისძიებებით, აგრეთვე პიონერული, კომკავშირული და მოსწავლეთა ორგანიზაციების საშუალებით.

აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში მოსწავლეებში ინერგება ცოდნისადმი, შრომისადმი სიყვარული, მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემა; მოსწავლეები აღიზრდებიან კოლექტივიზმის, კომუნისტური მორალის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო

ერთგულების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება ლიტერატურის, ხატვისა და სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე, აგრეთვე შინაარსითა და ფორმით მრავალგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესში (წრეები, საუბრები, ექსკურსიები მუზეუმებში, თეატრებში, გამოფენებზე კოლექტიური დასწრება, კინოსურათების ნახვა და სხვ.) და მიზნად ისახავს ბავშვებში მხატვრული გემოვნების, საუკეთესო გრძნობების განვითარებას, ყოფაქცევის კულტურის აღზრდას.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ხორციელდება ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე და მრავალგვარი კლასგარეშე სპორტულ-ფიზკულტურული მუშაობის, აგრეთვე მოსწავლეთა შრომისა და დასვენების პროცესში.

სკოლაში ტარდება მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ტურისტული და სამხარეთმცოდნეო ლაშქრობანი.

21. მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ყრუ-მუნჯ ბავშვთა რვაწლიან სკოლა-ინტერნატში ხდება ცოდნის წლიური შეფასების მიხედვით, საწარმოოსწავლებიან სკოლაში — ყველა საგანში წლიური შეფასებისა და საწარმოო პრაქტიკის შეფასების საფუძველზე. მოსწავლეთა გამოშვება მე-8 კლასიდან ხდება ყველა საგანში წლიური შეფასებისა და შრომაში შემაჯამებელი მუშაობის მიხედვით.

სკოლა-ინტერნატის XII კლასის დამთავრებისას ტარდება მოსწავლეთა გამოსაშვები გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად და საკვალიფიკაციო საცდელი მუშაობა.

სასწავლო-საწარმოო კლასიდან მოსწავლეთა გამოშვება ხდება ყველა საგანში წლიური შეფასებისა და საკვალიფიკაციო საცდელი სამუშაოს მიხედვით.

22. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულები ღებულობენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას, რომელიც მათ უფლებას აძლევს განაგრძონ სწავლა საწარმოოსწავლებიან სკოლა-ინტერნატებში, ყრუთათვის არსებულ მუშა-ახალგაზრდობის, სპეციალურ ტექნიკურ და გამოყენებითი ხელოვნების სკოლებში.

XII კლასის კურსდამთავრებულები, რომლებმაც გამოსაშვები გამოცდები ჩააბარეს და საკვალიფიკაციო საცდელი სამუშაო შეასრულეს, ღებულობენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას, და მოწმობას

მათთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ შერჩეულ სპეციალობაში.

სასწავლო-საწარმოო კლასის კურსდამთავრებულები ებბულობენ მოწმობას შერჩეულ სპეციალობაში მათთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

IV. შრომითი მომზადება და პროფესიულ-შრომითი სწავლება

23. შრომითი მომზადება წარმოადგენს ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სავალდებულო და უმნიშვნელოვანეს ნაწილს და შედგება შრომითი აღზრდისა და შრომის სპეციალური სწავლებისაგან.

24 შრომითი აღზრდა ხორციელდება სკოლის მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში—თვითმომსახურების, მორიგის მოვალეობის შესრულების, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობის პროცესში.

შრომითი სწავლება შედგება 3 ეტაპისაგან:

ა) ხელგარჯილობის სწავლება (I—IV კლასები);

ბ) ზოგადტექნიკური მომზადება (V—VIII კლასები);

გ) პროფესიული სწავლება (სასწავლო-საწარმოო კლასი და საწარმოოსწავლებიანი IX—XII კლასები).

პროფესიული სწავლება ტარდება მოსწავლეთა მიდრეკილებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყრუ ბავშვებს, რომლებიც ნიჭს ამჟღავნებენ ხელოვნებაში (ფერწერა, ქანდაკება), შეუძლიათ იმეცადინონ სპეციალურ სკოლებში ან სტუდიებში; ეს მეცადინეობა მათთვის წარმოადგენს პროფესიულ მომზადებას.

25. მოსწავლეებთან ტარდება საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა სულ ორი კვირის მანძილზე სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, სასწავლო სახელოსნოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (ადგილობრივი პირობების მიხედვით). სოფლის სკოლებში ტარდება პრაქტიკა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. მე-5 კლასის მოსწავლეები დღეში მუშაობენ 3 საათს, მე-6—8 კლასებისა—4 საათს.

მე-9—12 კლასებში და სასწავლო-საწარმოო კლასში საწარმოო პრაქტიკა (მწარმოებლური შრომა) ეწყობა სახელმწიფო მრეწველობისა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოებში, დამხმარე მეურნეობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან

მოსწავლეები მუშაობენ 6 საათს დღეში. ხანგრძლიობა პრაქტიკისა განისაზღვრება მე-9, 10, 11 კლასებში—4 კვირით, მე-12 კლასებში—2 კვირით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის სკოლების სასწავლო-საწარმოო კლასში პრაქტიკის სათვის გამოიყოფა 6 სასწავლო კვირა, სოფლის სკოლებში—10 კვირა.

26. შრომითი სწავლების განხორციელებისათვის სკოლებში ეწყობა სამუშაო ოთახები და სახელოსნოები.

სასწავლო სახელოსნოებს და სამუშაო ოთახებს ნედლეულითა და მოწყობილობით ამარაგებს განათლების სამინისტრო, რომლის ბიუჯეტზე ეს სახელოსნოები იმყოფება.

სკოლებს შეუძლიათ შეასრულონ სამუშაო შეკვეთებით, თუ ეს სამუშაოები შეესაბამება სკოლის პროგრამულ მოთხოვნებს.

27. მოსწავლეთა პროფესიული მომზადება საწარმოოსწავლებიან სკოლა-ინტერნატებში ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლებით, რაც მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს მტკიცე ცოდნა და ჩვევები მათ მიერ არჩეულ სპეციალობაში.

პირველდაწყებითი პროფესიული მომზადების დამთავრების შემდეგ სკოლის მონაწილეობით მოსწავლეებს დადგენილი წესით მიენიჭება კვალიფიკაცია, განისაზღვრება სათანადო სატარიფო თანრიგი ან კლასი და ამის შემდეგ შეიძლება მათი დაშვება დამოუკიდებელ სამუშაოზე მიღებული კვალიფიკაციის გზით. შემდეგში, პროფესიულ მომზადებაში დახელოვნებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიხედვით ამ თანრიგებს ან კლასებს გადასინჯავენ კვალიფიციური კომისიები და საბოლოოდ დაადგენენ მათ მოსწავლეთა გამოშვებისას სკოლიდან.

საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პროცესში მოსწავლეებში აღიზრდება თანამედროვე სოციალისტურ წარმოებაში მუშაობისათვის აუცილებელი თვისებები: შრომის მაღალი კულტურა და შეგნებული დისციპლინა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განუხრელად ზრდისადმი სწრაფვა, კოლექტივში მუშაობისა და დასახული მიზნის მიღწევის უნარი.

28. ყრუ ბავშვთა საწარმოოსწავლებიან სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა პროფესიული სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით თითოეული სკოლა მიემაგრება ახლომდებარე ერთს ან რამდენიმე სამრეწველო საწარმოს, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოებს,

სამშენებლო ობიექტებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, კოლმეურნეობებს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის კავშირი მიმაგრებულია საწარმოებთან ხორციელდება საწარმოოსწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ზრომითი პოლიტექნიკური სკოლის დებულების შესაბამისად.

V. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

29. ყრუ ბავშთა სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შტატი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი) დადგენილი წესით განისაზღვრება საშტატო განრიგით.

30. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სათავეშია დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

სკოლის დირექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებსაც გააჩნიათ ორგანიზატორული ნიჭი, აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლები 3 წლისა.

დირექტორი ახორციელებს სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობას. ის უზრუნველყოფს პედაგოგიური კადრების სწორ განაწილებას; ზომებს ღებულობს სკოლის მუშაობისათვის საჭირო ნივთიერი პირობების შესაქმნელად; ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კოლექტივს, ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახორციელებს კონტროლს სმენითი მუშაობიადმი სკოლაში; სკოლას აკომპლექტებს მოსწავლეებით და წარმართავს მოსწავლეთა კოლექტივისა და მათი ორგანიზაციების საქმიანობას; ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას; პასუხისმგებელია ყრუ ბავშვთა საყოველთაო, სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის იმ რაიონებში, რომლებსაც სკოლა ემსახურება; პასუხს აგებს სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებაზე, სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებასა და მოსწავლეთა ზრომით მომზადებაზე, სანიტარიის, ზრომისა და უშიშროების ტექნიკის წესების დაცვაზე; იყენებს ზემოქმედების ზომებს ზრომის დისციპლინის დარღვევათა მი-

მართ: საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაკებს წარმოდგენს წასახალისებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს ერთმმართველობის შეხამებით კოლეგიალობასთან და მუშაობაში ეყრდნობა პედაგოგიურ საბჭოს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ყოველმხრივ მოიზიდავს სკოლისათვის დასახმარებლად მოსწავლეთა მშობლებს, შეფ წარმოებებსა და დაწესებულებებს, საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოებას.

31. დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იმ მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლება და თავი გამოიჩინეს ორგანიზატორული ნაჭით.

მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია აღმზრდელობითი მუშაობისათვის, მოსწავლეთა მიერ ინტერნატში საშინაო სასწავლო დავალებებისა და შინაგანაწესის შესრულებისათვის, კლასგარეშე მუშაობისა და ინტერნატის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის, ინტერნატში ერთიანი სმენითი რეჟიმის დაცვისათვის.

32. სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იმ მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლება, კარგი ორგანიზატორები და მეთოდისტები არიან და ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში უმუშავნიათ არანაკლები სამი წლისა.

სასწავლო ნაწილის გამგეს ეკისრება პასუხისმგებლობა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისა და სასწავლო და სმენითი მუშაობის სწორად ორგანიზებაზე, მოსწავლეთა შრომითი სწავლების სწორად დაყენებაზე, აგრეთვე მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობისა და მასწავლებელთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე სმენითი მუშაობის დარგში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, სადაც საშტატო განრიგით გათვალისწინებული არ არის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა, ამ მოვალეობის შესრულება ეკისრება დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

33. სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში (ან მნეს) ნიშნავს დირექტორი. მნე პასუხს აგებს სკოლის მეურნეობის მდგომარეობაზე, სასწავლო მოწყობილობით უზრუნ-

ველყოფაზე, სკოლის ქონების დაცვასა, შენობის ნორმალურ ექსპლოატაციასა და სათანადო სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუ ბავშვთა სკოლის მასწავლებლებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სკოლის დირექტორის წარდგენით. მასწავლებლებად ინიშნებიან პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება ან უმაღლესი პედაგოგიური განათლება და გავლილი აქვთ სპეციალური კურსები.

მასწავლებლები პასუხისმგებლები არიან სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროგრამების შესრულებაზე, სწავლებაში ყრუ ბავშვთა თავისებურებისა და ასაკის შესაფერი რაციონალური მეთოდების სწორად გამოყენებაზე, მეტყველების განვითარების, ცოდნისა და ჩვევების დონის სწორად შეფასების საქმეზე, მოსწავლეთა შემდეგ კლასში გადაყვანისა, გამოშვებისა და მათი აღზრდისათვის საბჭოთა სკოლის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლები ვალდებულნი არიან მოსწავლეებისადმი პატივისცემა და ყურადღება შეახამონ მათდამი გონივრულ მოთხოვნებს. მასწავლებელი მოვალეა გამოიყენოს მოსწავლეების სმენითი აღქმა გაკვეთილებზე, უმთავრესად მეტყველების ტექნიკისა და რითმიკის გაკვეთილებზე. მასწავლებლებს ევალებათ სისტემატურად აიმაღლონ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონე, თეორიული და პროფესიული მომზადება.

მასწავლებლები, რომლებსაც არ გააჩნიათ დეფექტოლოგიური განათლება ან ყრუ ბავშვთა სკოლებში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, კვალიფიკაციას იმაღლებენ დაუსწრებელი დეფექტოლოგიური განათლებით და სპეციალური კურსების მეშვეობით.

35. ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც სკოლის დირექტორი ავალებს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგებლობას, სასწავლო პროგრამის შესაბამისად ადგენს ნაკვეთზე პრაქტიკული მუშაობის გეგმას ყველა კლასისათვის, უზრუნველყოფს ამ გეგმის შესრულებას, რისთვისაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩასატარებელი ცდების განხორციელებას.

36. მოსწავლეთა შრომითსა და საწარმოო სწავლებას სასწავლო სახელოსნოებში ახორციელებენ შრომითი სწავლების მასწავლებლები, რომლებსაც ნიშნავს განათლების სამინისტრო სპეციალური პროფესიული მომზადების მქონე პირთაგან.

შრომითი და საწარმოო სწავლების მასწავლებლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროგრამების შესრულება შრომაში, უშიშროების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვა, პასუხს აგებენ მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა-

ზე სასწავლო სახელოსნოებში მეცადინეობის პროცესში, საწარმოო ექსკურსიებისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ჩატარებისას.

37. კლასის ხელმძღვანელს ნიშნავს სკოლის დირექტორი მოცემულ კლასში მომუშავე მასწავლებელთაგან. კლასის ხელმძღვანელი ატარებს ყოველდღიურ აღმზრდელობით მუშაობას თავისი კლასის მოსწავლეებთან, თვალყურს ადევნებს მათ ყოფაქცევასა და წარმატებას, ზომებს ღებულობს მოსწავლეთა წესების განუხრელად შესრულებისათვის, მოცემულ კლასში მომუშავე მასწავლებლებთან ერთად აღწევს მოსწავლეთა დარაზმვას მეგობრულ, დისციპლინიან და შრომისუნარიან კოლექტივში; ეხმარება თავისი კლასის პიონერთა რაზმს, კომკავშირულ ორგანიზაციას და აწყობს კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობას ბავშვებთან; მუდმივ კავშირშია მოსწავლეთა მშობლებთან და მოიზიდავს მათ ბავშვების სათანადო აღზრდის ღონისძიებების გატარებაში; ხელმძღვანელობს თვითმომსახურების, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის და სპორტულ მუშაობაში მოსწავლეთა სოცშეჯიბრების სწორად წარმართვას.

38. აღმზრდელებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სკოლის დირექტორის წარდგენით იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ დეფექტოლოგიური ან უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

აღმზრდელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მისთვის ჩაბარებულ ჯგუფში ბავშვთა აღზრდა, ყოველმხრივ იცოდეს თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვი, პასუხი აგოს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

ბ) მოაწყოს ჯგუფში მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა სასწავლო მეცადინეობისათვის მოსამზადებლად, ასწავლოს ბავშვებს სახელმძღვანელოთი სარგებლობა, წიგნის, სასწავლო ნივთის წესიერი ხმარება, დღიურებისა და რვეულების წარმოება;

გ) ჩაატაროს სკოლისგარეშე მუშაობა თავისი ჯგუფის ბავშვებთან, რისთვისაც მოაწყოს კლასგარეშე კითხვა, თხრობა, ექსკურსია, გასეირნება, თამაში და მასობრივი და წრეობრივი მუშაობის სხვა სახეები;

დ) განუვითაროს მოსწავლეებს ზეპირი და წერითი მეტყველება;

ე) განავითაროს მოსწავლეთა სმენითი აღქმა;

ვ) მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კლასის ხელმძღვანელთან და კლასის მასწავლებლებთან;

ზ) უზრუნველყოს თავისი ჯგუფის ბავშვებისათვის ჩაბარე-

ბულ მატერიალურ ღირებულებათა და მოწყობილობის სწორი გამოყენება და დაცვა-შენახვა.

39. სმენის კაბინეტის ინსტრუქტორს ყრუ-ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორის წარდგენით ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლების მქონე პირთაგან.

სმენის კაბინეტის ინსტრუქტორს ევალება სმენითი მუშაობის დაყენება სკოლა-ინტერნატში და სპეციალური სმენითი მეცადინეობის ჩატარება კაბინეტში: მასწავლებელთა და აღმზრდელთა ინსტრუქტაჟი სმენითი მუშაობის საკითხებზე, სმენის კაბინეტის მოწყობა და აპარატურის მდგომარეობის დაცვა და კონტროლი.

40. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს სკოლის დირექტორი კომკავშირის რაიკომთან (ქალაქკომთან) შეთანხმებით. ის უნდა იყოს კომკავშირელი ან კომუნისტი, ასაკით არანაკლებ 18 წლისა. ჰქონდეს საშუალო ან უმაღლესი განათლება და ყრუ ბავშვებთან მუშაობის მოწოდება.

უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს ვ. ი- ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რაზმეულის უფროსი პიონერხელმძღვანელის შესახებ არსებული დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ.

41. სასწავლო კაბინეტების გამგებლობას დირექტორი აკისრებს სათანადო სპეციალობის მასწავლებლებს.

სასწავლო კაბინეტების გამგეები სახარჯთაღრიცხვო ასიგნობების შესაბამისად კაბინეტებს უზრუნველყოფენ იმ მოწყობილობით, რაც საჭიროა სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად, პასუხისმგებლები არიან მათთვის ჩაბარებულ მატერიალურ ღირებულებათა დაცვაზე.

42. სკოლის ბიბლიოთეკარს ნიშნავს სკოლის დირექტორი სათანადო მომზადების მქონე პირთაგან.

ბიბლიოთეკარი აწყობს ბიბლიოთეკის რეგულარულ მუშაობას და მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეებს ეხმარება წიგნების შერჩევაში კლასგარეშე კითხვისათვის, ასწავლის მათ წიგნით სარგებლობას, მუშაობს წაკითხული წიგნების ირგვლივ; უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით, პასუხისმგებელია წიგნადი ფონდის დაცვაზე.

43. სკოლების სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს რაიონის (ქალაქის) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

მედიცინის მუშაკები, რომლებიც სკოლას მომსახურებას უწე-

ვენ, ატარებენ სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვას და ხელს უწყობს მათ ფიზიკურ განვითარებას, წარმატებით სწავლასა და აღზრდას: თვალყურს ადევნებენ სმენისა და მხედველობის ორგანოების მდგომარეობას, სწავლობენ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, მათ ქცევებს. თავის მუშაობაში ისინი ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით და მუშაობენ აღმზრდელებთან, მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორთან მჭიდრო კონტაქტში.

44. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სისტემატურად ატარებს პედაგოგიურ პროპაგანდას და მონაწილეობს მოსახლეობაში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელებაში.

VI. პედაგოგიური საბჭო

45. მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის ძირითადი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისათვის სკოლაში აარსდება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, სასწავლო ნაწილის გამგე, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა და შრომითი სწავლების მასწავლებლები, აღმზრდელები, ბიბლიოთეკარი, უფროსი პიონერხელმძღვანელი, სკოლის ექიმი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, შეფი წარმოების ან დაწესებულების თავმჯდომარე.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს სკოლის ცხოვრებასთან კავშირის, მოსწავლეთა ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების და შრომითი სწავლების დონის ამაღლების, აღზრდისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესების საკითხებს, საუკეთესო მასწავლებელთა და აღმზრდელთა გამოცდილებას, სხვა სკოლების გამოცდილებას; ამტკიცებს სკოლის მუშაობის გეგმებს, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ანგარიშებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებზე; წყვეტს მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და მათი სკოლიდან გამოშვების საკითხებს: მოისმენს მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა, პიონერხელმძღვანელის, სკოლის ექიმისა და სხვა მუშაკთა ანგარიშებს.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთო დებულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. მშობელთა კომიტეტი

46. მოსწავლეთა მშობლებთან სკოლის მუდმივი და მჭიდრო კავშირის უზრუნველსაყოფად სკოლაში იქმნება მშობელთა საერთო კრების მიერ არჩეული მშობელთა კომიტეტი. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ირჩევა მისი წევრების შემადგენლობიდან.

კომიტეტი მშობლებს მოიზიდავს სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, სკოლას ეხმარება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში, მოსწავლეთა თვითმომსახურების, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისა და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში, მოსახლეობაში პედაგოგიური პროპაგანდის ჩატარებაში, სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

მშობელთა მონაწილეობა სკოლის მუშაობაში განისაზღვრება დებულებით მშობელთა კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

VIII. მოსწავლეები

47. მოსწავლეთა მიღება ყრუ ბავშვთა რვაწლიან სკოლა-ინტერნატში ხდება აგვისტოში. მიღებას ატარებს კომისია შემდეგი შემადგენლობით: განათლების სამინისტროს წარმომადგენელი (თავმჯდომარე), სკოლა-ინტერნატის დირექტორი, ექიმი-ოტოლარინგოლოგი, ექიმი-თერაპევტი და სურდოპედაგოგი.

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელთა საცხოვრებელი ადგილი იცვლება.

მშობლებმა ან პირებმა, რომლებიც მათ ცვლიან, ბავშვის ჩასარიცხავად სკოლას უნდა წარუდგინონ: განცხადება ბავშვის მიღების შესახებ, მისი წლოვანების დოკუმენტი, სამედიცინო დასკვნა სმენისა და მეტყველების მდგომარეობის შესახებ.

48. ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლეები მიიღებიან სათა-

ნადო კლასებში გამოცდების გარეშე, საბუთის საფუძველზე მათი წარმატების შესახებ.

49. საწარმოოსწავლებიან სკოლა-ინტერნატში (IX კლასში) უგამოცდოდ მიიღებიან პირები, რომლებმაც ყრუ ბავშვთა რვაწლიანი სკოლა დაამთავრეს საუკეთესო წარმატებითა და ყოფაქცევით, ასაკით არიან არა უმეტეს 16 წლისა და აქვთ სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და კომკავშირული ან მოსწავლეთა ორგანიზაციის რეკომენდაცია.

განცხადებების მიღება პირთაგან, რომლებიც შედიან საწარმოოსწავლებიანი სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასში და მათი სკოლაში ჩარიცხვა ხდება 1-ლ ივლისიდან 15 აგვისტომდე. შემსვლელები წარადგენენ განცხადებას, მოწმობას რვაწლიანი სკოლის დამთავრების შესახებ, სამედიცინო ცნობას სმენის, მეტყველებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით მოცემულ სპეციალობაში მუშაობისათვის ვარგისიანობის შესახებ, პედაგოგიური საბჭოსა და კომკავშირული ან მოსწავლეთა ორგანიზაციის რეკომენდაციას.

თუ მოსწავლე არ აღმოჩნდება მომზადებული მე-9 კლასში სწავლისათვის, ერთი თვის შემდეგ ასეთი მოსწავლე პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს სკოლიდან და შრომითი მოწყობისათვის გაიგზავნოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

50. მოსწავლეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მათთვის დადგენილი წესები, იყვნენ დისციპლინიანი, მტკიცედ დაიცვან ყოფაქცევის ნორმები.

სკოლაში გამოიყენება წახალისებისა და დასჯის ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო წესებითა და ინსტრუქციებით.

განსაკუთრებული დანაშაულისათვის (ხულიგნობა, პედაგოგიური პერსონალის შეურაცხყოფა, მასწავლებელთა მითითებების და ადმინისტრაციის განკარგულებებისადმი ჯიუტად დაუმორჩილებლობა) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლე შეიძლება გაირიცხოს სკოლიდან.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ უნდა დაამტკიცოს განათლების სამინისტრომ, რომელიც მშობლებთან ერთად ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ მოსწავლემ განაგრძოს სწავლა ან სამუშაოზე იქნეს მოწყობილი.

51. სკოლის მოსწავლეები შეადგენენ ერთიან კოლექტივს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორისათვის, პედაგოგიური კოლექტივისა და პიონერული რაზმის საბჭოსათვის დახმარების გასაწევად—რათა მოსწავლეებში აღიზარდოს თავისი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, მათში დაინერგოს კულტურული ქცევის ჩვევები, განმტკიცდეს სასკოლო დისციპლინა, განვითარდეს მოსწავლეთა ინიციატივა და თვითმოქმედება, მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასა და სპორტულ მუშაობაში—ყრუ ბავშვთა სკოლაში შეიძლება შეიქმნას მოსწავლეთა კომიტეტი.

მოსწავლეთა კომიტეტი მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საამისოდ დამტკიცებული საერთო დებულების საფუძველზე-

52. ყრუ ბავშვთა სკოლაში იქმნება პიონერული ორგანიზაცია, ხოლო თუ მოსწავლეთა შორის არიან ალკკ წევრები—ალკკ პირველადი ორგანიზაცია.

სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის ყოველმხრივი დახმარება, მიმართული პიონერთა და კომკავშირელთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებისაკენ, შეადგენს—სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

53. ყრუ ბავშვთა სკოლის მოსწავლეთა კოლექტივი მონაწილეობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივად სასარგებლო-კულტურულ-მასობრივ, ფიზკულტურულ-სპორტულ და წრეობრივ მუშაობაში, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ტარდება.

საზოგადოებრივად სასარგებლო და მოსწავლეთათვის დასაძლევი შრომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა თვითმომსახურება, რომლის მიზანია ბავშვებში დანერგოს ცხოვრებაში აუცილებელი ჩვევები. მუშაობა თვითმომსახურების სახით ტარდება მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად და მშობელთა მონაწილეობით. აქ დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, უშიშროების წესები და მოსწავლეთა ჯანმრთელობა, ადგილი არ უნდა ექნეს ბავშვთა გადატვირთვას, სასწავლო მეცადინეობის შეფერხებას.

54. არდადეგების დროს მშობლებიანი ბავშვები შინ იგზავნებიან მშობლების ხარჯზე. სკოლაში დარჩენილი აღსაზრდელები

კულტურულად ისვენებენ და მათთვის ტარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IX. სასწავლო-მატერიალური ბაზა

55. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო სადგომები: საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, ტანვარჯიშის დარბაზი გასახდელითა და შხაპის მისაღებით, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა სამკითხველოთი, სამასწავლებლო და მეთოდური კაბინეტი, კანცელარია, დირექტორის კაბინეტი, სასწავლო ნაწილის გამგის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი, სმენის კაბინეტი, პიონერული ოთახი, სასადილო, პირის დასაბანი ოთახები და საპირფარეშოები, ტექნიკური პერსონალის ოთახი.

56. სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელ სადგომებს უნდა ჰქონდეთ: საძინებლები, ჯგუფისა და ჩუმი დასვენების ოთახები, სასტუმრო ოთახები (აღსაზრდელების შესახვედრად მშობლებთან), იზოლატორი, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის კაბინეტი, აღმზრდელთა ოთახი, მორიგე ტექნიკური პერსონალის ოთახი, თეთრეულის ოთახი, საკუჭნაო, პირის დასაბანი ოთახები, სააბაზანო შხაპის ოთახები, ჰიგიენის ოთახი გოგონებისათვის, სანკვანძები.

57. სკოლამდელ ჯგუფებს თუ განყოფილებებს ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში უნდა ჰქონდეთ ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების დებულებით გათვალისწინებული ყველა სადგომი.

58. სკოლებთან ეწყობა სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები და დამხმარე მეურნეობანი, რომლებიც მუშაობენ მათ შესახებ არსებული დებულების შესაბამისად.

X. დაფინანსება და ანგარიშგება

59. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დაფინანსება ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

60. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებს აქვთ სპეციალური სახსრები. ამ სახსრებს ისინი ღებულობენ იმ მუშაობის შედეგად, რომელსაც სკოლის აღსაზრდელები ატარებენ სახელოსნოებსა და დამხმარე მეურნეობაში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. სპეციალური სახსრების გამოყენება ხდება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

61. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი დადგენილი წესით ეწევა საქმის წარმოებას, ფინანსიურ და სტატისტიკურ ანგარიშგებას, აქვს არქივი.

62. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

63. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ლიკვიდაცია, აგრეთვე მისი გადაყვანა ერთი შენობიდან მეორეში შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
დაცვის მინისტრის მ. შ.
ს. ვ. ცომაია.
15/11 1962 წ.

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ვ. ლაშქარაშვილი
20/11 1962 წ.

დებულება

მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა-ინტერნატის შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა - ინტერნატები განკუთვნილია მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთათვის. ასეთი სკოლა-ინტერნატი ეწყობა ერთკომპლექტიანი რვაწლიანი ან საწარმოოსწავლებიანი საშუალო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ტიპის მსგავსად და მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს ამ საფეხურის სკოლის შესაბამისი ზოგადი განათლება და უზრუნველყოს მოსწავლეთა მკურნალობა სრულ კლინიკურ გაჯანსაღებამდე.

სასწავლო მეცადინეობის რეჟიმი სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში წესდება მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად.

2. მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა სანატორიული სკოლა-ინტერნატი გაიხსნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

სანატორიული სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობაში.

3. სანატორიულ სკოლა-ინტერნატში მყოფ მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების კონტროლს ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები სანატორიულ სკოლა-ინტერნატებს უზრუნველყოფენ კვალიფიციური მედიცინის მუშაკებით, აგრეთვე, არსებული წესით, საჭირო სამედიცინო აპარატურით, ბილობითა და მედიკამენტებით.

4. სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში მიიღებიან მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებული ორივე სქესის ბავშვები და მოზარდები 7-დან 18 წლამდე.

5. ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა-ინტერნატის ეზო-გარემო, შენობები და მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს სკოლა-ინტერნატებისათვის სსრ კავშირის სახმშენის მიერ დაწესებულ ნორმებსა და წესებს, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მიერ დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, რაც ამ ტიპის სკოლა-ინტერნატების მუშაობის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარეობს.

ახლადასაგები სანატორიული სკოლა-ინტერნატის ნაკვეთი უნდა გამოიყოს ქალაქგარეთ, მწვანე ზონაში.

II. სანატორიული სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებით დაკომპლექტების წესი

6. ბავშვთა და მოზარდთა შერჩევას სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ახდენს გადამრჩევი კომისია, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანო გამოყოფს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერთან; კომისიის შემადგენლობაში შედიან: ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის საბავშვო განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), პედიატრი, სკოლა-ინტერნატის დირექტორი, სანატორიული სკოლა-ინტერნატის ექიმი.

7. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებიან ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვები (მოზარდები), მათი მშობლების თანხმობით, გადამრჩევ კომისიაში წარადგენენ ვრცელ ამონაწერს ავადმყოფობის ისტორიიდან, რასაც თან ერთვის მონაცემები ტუბერკულინის რეაქციების ხასიათის შესახებ, გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევის, სისხლისა და შარდის ანალიზების შედეგების, გადატანილ ინფექციურ დაავადებათა და ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ. ამონაწერში მითითებული უნდა იყოს იმ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შესახებ, რასაც საჭიროებს ბავშვი.

8. გადამრჩევი კომისია შერჩეული ბავშვების სიებს და მათზე შედგენილ სამედიცინო დოკუმენტაციას უგზავნის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

გადამრჩევი კომისიის მიერ გაგზავნილი მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო შერჩეული ბავშვის მშობლებს აძლევს საგზურს სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ბავშვის ჩარიცხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეები მიიღებიან ყოველწლიურად 1-დან 20 აგვისტომდე.

სანატორიულ სკოლა-ინტერნატში მოსწავლეები ჩაირიცხებიან შემდეგი საბუთების საფუძველზე:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური;

ბ) გადამრჩევი კომისიის დასკვნა;

გ) საბუთი ბავშვის (მოზარდის) ასაკის შესახებ;

დ) ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან ბავშვის (მოზარდის) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დიაგნოზის ჩვენებით;

ე) მშობლების განცხადება ბავშვის (მოზარდის) სკოლაში მიღების შესახებ;

ვ) ცნობა აკადემიური წარმატების შესახებ და პედაგოგიური დახასიათება;

ზ) ცნობები ოჯახის შემადგენლობისა და მშობლების შემოსავლის შესახებ.

10. სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ყოფნის ვადაა—სასწავლო წელი; სამედიცინო მაჩვენებლების მიხედვით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

11. სანატორიულ სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ბავშვები და მოზარდები ტუბერკულოზის შემდეგი ფორმებით:

ა) პირველადი კომპლექსი და ბრონქოადენიტი გამკვრივების ფაზაში;

ბ) ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი გამკვრივების ფაზაში;

გ) ფილტვების ქრონიკული დისიმულირებული ტუბერკულოზი გამკვრივებისა და ჩაკირვის ფაზაში;

დ) ნარჩენი მოვლენები გადატანილი ექსუდაციური პლევრიტის, პერიტონიტის შემდეგ;

ე) ძვალ-სახსრების ტუბერკულოზის ჩამცხრალი ფორმები, როდესაც არ არის საჭირო ორთოპედული ჩარევა;

ვ) ტუბერკულოზის სინჯის ვირაჟი ნაადრევი ინტოქსიკაციის მოვლენებით;

ზ) გადამდები ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულებთან კონტაქტში მყოფი ბავშვების ქრონიკული ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია II ხარისხისა, ქრონიკული ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია I ხარისხისა.

გარდა ამისა, სანატორიულ სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ტუბერკულოზური მენინგიტი, თუ ამის შემდეგ ორი წლის მანძილზე მაინც მათ ჩაუტარდათ საავადმყოფო და სანატორიული მკურნალობა და ადგილი არ აქვს დარღვევებს ფსიქიკისა და ინტელექტის მხრივ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სხვა თანაბარ პირობებში სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში პირველ რიგში იგზავნებიან ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც კონტაქტი აქვთ გადამდები ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულებთან ან რომელთა საყოფაცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელია.

III. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია

12. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და ინსტრუქციულ-მეთოდური მითითებებისა და სკოლა-ინტერნატის შესახებ არსებული დებულების შესაბამისად.

13. მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ კლასში არ უნდა აღემატებოდეს 25-ს.

14. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ფორმას სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში წარმოადგენს გაკვეთილი მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობასთან. ბავშვებთან და მოზარდებთან, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განთავისუფლებულნი არიან კლასში ყოფნისაგან, სკოლის ექიმთან შეთანხმებით, შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალური მეცადინეობა.

15. გაკვეთილების ხანგრძლიობა პირველ ოთხ კლასში განისაზღვრება 35 წუთით, V—XI კლასებში—40 წუთით. ყოველი გაკვეთილის წინ მოსწავლეებთან ტარდება ფიზკულტურული მეცადინეობა (მხარის, ზურგის, ფეხის კუნთების 3—4 იოლი ვარჯიში) 5 წუთის განმავლობაში. დასვენებების ხანგრძლიობაა 10 წუთი, მესამე დასვენებისა კი—30 წუთი.

გაკვეთილების განაწილება კლასების მიხედვით დღის განმავლობაში და დღეების მიხედვით კვირის განმავლობაში შეთანხმებული უნდა იყოს სანატორიული სკოლა-ინტერნატის ექიმთან.

IV. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი

16. სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ექიმის ხელმძღვანელობით ტარდება ფართო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი იმისა-

თვის, რომ განმტკიცდეს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობა, გაძლიერდეს მათი ორგანიზმის წინააღმდეგობა ავადმყოფობასთან და მიღწეულ იქნეს სრული კლინიკური გაჯანსაღება ტუბერკულოზისაგან. საჭიროებისას ბავშვებთან ტარდება მკურნალობა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული და სხვა პრეპარატებით.

17. გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი და ბავშვთა მკურნალობა ტარდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მითითებების შესაბამისად.

V. დასკვნითი დებულებანი

18. ყველა იმ ღონისძიებების განხორციელებისას, რაც ამ დებულებით არ არის გათვალისწინებული, მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა-ინტერნატი ხელმძღვანელიბს სკოლა-ინტერნატის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი

კ. ბორჯაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ 3
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის დებულება . . . 10
3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 6 იანვრის ბრძანება რესპუბლიკის საბავშვო ბაღებში 1960—1961 სასწავლო წელში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ 15
4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 6 იანვრის ბრძანება ლაჯანურის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . , ... 20
5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 20 იანვრის ბრძანება გონებრივი და ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . 23
6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 25 იანვრის ბრძანება ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 25
7. მოხსენებითი ბარათი ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ზოგიერთი სკოლის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 26
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 20 იანვრის ბრძანება კასპის, ბათუმის № 1 და კოხნარის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 38
9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 31 იანვრის ბრძანება კასპისა და ქარელის რაიონების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოოსწავლებიანი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 44
10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 31 იანვრის ბრძანება 1960—1961 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ 54
11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 17 თებერვლის ბრძანება, ხაშურის, მცხეთის, ჩოხატაურის, კასპის, ცაგერის რაიონებსა და ქ. ბათუმში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შედეგების შესახებ . 59
12. დებულება მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა ტუბერკულოზური სანატორული სკოლა-ინტერნატის შესახებ 81

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IV-62 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5.

ფასი 10 კაპ.

შეკ. 276 ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, № 19.